თ. ბერუჩაშვილი
ა. ყარაულაშვილი
ვ. მშვიდობაძე

T. Beruchashvili
A. Karaulashvili
V. Mshvidobadze

პროექტი განხორციელდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარ-ტამენტის განათლებისა და კულტურის ბიუროსა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით SCOUT Alumni -ის სპეციალური საგრანტო პროექ-ტის ფარგლებში (შემოდგომა 2005)

Project is supported by the U.S. Department of State, Bureau of Educational and Cultural Affairs and Open Society Institute under the SCOUT Alumni Special Grant Project (Fall 2005)

ISBN 99940-58-29-0

სარჩევი

1. ევროკავშირი (მოკლე ისტორია) 7
2. ევროკავშირის ინსტიტუტები 13
3. ევროკავშირის კონსტიტუცია 26
4. ევროკავშირი და საქართველო: შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ 31
5. პოლიტიკური დიალოგი 43
6. ევროინტეგრაციის პროცესის ხელშემწყობი ინსტიტუციონალური მექანიზმის განვითარება საქართველოში 47
7. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია 50
8. ევროკავშირის დახმარების პროგრამები საქართველოსათვის 53
9. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები: რეალობა და პერპექტივები 72
10. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო 94
11. მნიშვნელოვანი ფაქტები ევროკავშირის ისტორიიდან 101

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, ქართველმა ხალხმა განაცხადა თავისი ნების შესახებ ააშენოს და იცხოვროს საერთო ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებულ სახელმწიფოში და გახდეს ევროკავშირის – წევრი ქვეყანა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოში დემოკრატიული ცხოვრების წესის და ეკონომიკური კეთილდღეობის დამკვიდრებას, ქართული კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას.

რას ნიშნავს საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის?

- უპირველეს ყოვლისა ეს არის მათი ცხოვრებისა და საქმიანობის მაქსიმალური უსაფრთხოების გარანტია;
- ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირება;
- ევროპულ კულტურულ და საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვის რეალური შესაძლებლობები;
- და ბოლოს, რაც მთავარია, უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში, ეს ნიშნავს ცხოვრების დონის თანდათანობით მიახლოებას ევროპულ სტანდარტებთან.

საქართველო ევროსაბჭოსა და ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) სრულუფლებიანი წევრია, ამ ევროპულ სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობით ქვეყანაში მკვიდრდება დემოკრატიული არჩევნების ჩატარების, ადამიანის და უმცირესობათა უფლებების, პოლიტიკური და ინდივიდუალური თავისუფლებების დაცვის კულტურა.

1996 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა და 1999 წელს ძალაში შევიდა პარტნიო-

რობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად ევროკავშირისა და საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორმხრივი თანამშრომლობის ინსტიტუტები აქტიურად ანხორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

2004 წლიდან საქართველოზე გავრცელდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, რომელმაც ევროკავშირთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების პროცესის განვითარების ახალ პერსპექტივები შექმნა.

საქართველოს ყველა პოლიტიკური ძალა მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას და აღიარებს, რომ ეს არის ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-კულტურული განვითარების გზით და სახელმწიფო ინტერესებით განპირობებული სტრატეგიული არჩევანი.

ევროკავშირი

დღევანდელი ევროკავშირი ოცდახუთი ევროპული სახელმწიფოს გაერთიანებაა, რომელშიც 450 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ამ გაერთიანების მიზანია უზრუნველყოს სტაბილურობა, მშვიდობა მოქალაქეთა კეთილდღეობა და დაამკვიდროს საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური ნორმები.

ევროკავშირის ისტორია სათავეს იღებს რამდენიმე ეკონომიკური ხასიათის შეთანხმებიდან, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო ომისშემდგომ ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა და ეკონომიკური ინტეგრაციის მეშვეობით წევრი ქვეყნების ერთობლივი განვითარება.

1950 წლის აპრილის ბოლოს ფრანგმა საზოგადო მოღვაწემ ჟან მონემ და მისმა თანამოაზრეებმა შეადგინეს დოკუმენტის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ცოტა ხნის წინ საომარ მდგომარეობაში მყოფი ევროპის ქვეყნების მიერ ქვანახშირისა და ფოლადის რესურსებზე ერთიანი, ზესახელმწიფოებრივი კონტროლის განხორციელებას. ეს იდეა პირველად იმავე წლის 9 მაისს გაჟღერდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის მიერ და ფართო გაგებით, ევროპული ინტეგრაციის საძირკვლის ჩაყრის პირველი მცდელობა იყო.

1951 წლის 18 აპრილს ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (ECSC). ხელშეკრულება რატიფიცირებული იქნა ექვსი ხელისმომწერი ქვეყნის მიერ (გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ბელგია და ნიდერლანდები). 1952 წლის 10 აგვისტოს აღნიშნული გაერთიანების უმაღლესმა ორგანომ ჟან მონეს ხელმძღვანელობით ბინა დაიდო ლუქსემბურგში.

ევროპული თამანშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდა და 1957 წლის 25 მარტს დაიდო შეთანხმება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ (ე.წ. „რომის ხელშეკრულება“). ჩამოყალიბდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (EEC) და „ეურატომი (EURATOM). რომის ხელშეკრულება ითვალისწინებდა თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნას. საერთო პოლიტიკის საფუძველზე სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, რეგიონულ და სოციალურ საკითხებში, კვლევაში, გარემოს დაცვაში, განათლებასა და მესამე სამყაროსთან ურთიერთობის საკითხებში აქტიურ თანამშრომლობას. 1972 წელს თანამეგობრობას შემოუერთდნენ გაერთიანებული სამეფო, ირლანდია და დანია, მოგვიანებით კი საბერძნეთი, ესპანეთი და პორტუგალია. 1979 წელს შემოღებული იქნა ევროპული მონეტარული სისტემა.

70-იან წლებში ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ შეიმუშავა საერთო დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი, რაც ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის სახელით არის ცნობილი. ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა ოფიციალურად 1986 წელს მიღებულ ერთიან ევროპულ აქტში გაფორმდა.

1990 წლის 3 ოქტომბერს ბერლინის კედლის დაცემას მოჰყვა გერმანიის გაერთიანება და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დემოკრატიზაცია. ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლამ 1991 წლის დეკემბერში კონტინენტის პოლიტიკურ სტრუქტურას დიდი ცვლილებები მოუტანა.

1992 წელს დაიდო ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ, რომელსაც „მაასტრიხტის ხელშეკრულებასაც“ უწოდებენ. მისი მეშვეობით ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა გადაიზარდა უფრო თანმიმდევრულ და მრავლისმომცველ საერთო საგარეო და თავდაცვით პოლიტიკად. მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ეკონომიკური ინტეგრაცია კიდევ უფრო წინ წასწია. შემუშავდა ეკო-

ნომიკური და ფულადი ერთიანობის სტრუქტურა რასაც 2001 წელს ერთიანი ევროპული ფულადი ერთეულის, ევროს, შემოღება მოჰყვა.

1993 წლის ევროპული საბჭოს კოპენჰაგენის სხდომაზე მიღებული იქნა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობაა:

- სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა და ადამიანის უფლებების, მათ შორის უმცირესობათა უფლებების პატივისცემა,
- ფუნქციონალური საბაზრო ეკონომიკა, რომელიც შეძლებს ევროკავშირში არსებული კონკურენციის პირობებში მოქმედებას და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სავალუტო ერთიანობასთან დაკავშირებული მიზნების განხორციელებას,
- ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ე.წ "**Acquis Communautaire**-ის" გადმონერგვა.

1995 წელს გაერთიანებაში შევიდნენ ავსტრია, ფინეთი და შვედეთი. ევროპის თანამეგობრობა ახლა უკვე თხუთმეტი წევრი სახელმწიფოსაგან შედგებოდა.

1997 წლის 2 ოქტომბერს ხელი მოეწერა ამსტერდამის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების ოთხი მთავარი მიზანი მოქალაქეთა დასაქმება და მათი უფლებები, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის ზონის შექმნა, მსოფლიო მასშტაბის საქმეებში ევროპის ხმის გაძლიერება და ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურების მეტი ეფექტიანობის მიღწევა იყო. ხელშეკრულებამ შესწორებები შეიტანა და გააძლიერა კავშირის პოლიტიკა და რესურსები, განსაკუთრებით იურიდიული თანამშრომლობის სფეროში, მოქალაქეებს მისცა თავისუფლად გადაადგილების უფლება, გააუმჯობესა საგარეო პოლიტიკა. ევროპარლამენტმა, კავშირის უშუ-

ალო დემოკრატიულმა ინსტიტუტმა, იკისრა ახალი ვალდებულებები და კანონმდებლობის შემუშავებაში ერთ-ერთი მთავარი როლი.

2001 წლის 26 თებერვალს ხელი მოეწერა და 2003 წლიდან ძალაში შევიდა ნიცის შეთანხმება. ამ შეთანხმების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ევროკავშირის სრუქტურული რეორგანიზაცია. კერძოდ მან განსაზღერა თუ როგორი უნდა ყოფილიყო ევროკომისიის შემადგენლობა და მოცულობა, როგორ გადანაწილდებოდა ხმები ევროკავშირის საბჭოში, გააფართოვა ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით მისაღებ საკითხთა სფერო. ნიცის შეთანხმების საფუძველზე მოხდა თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება. განსაკუთრებით საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში. შეიქმნა სოციალური დაცვის კომიტეტი, გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლება.

დღეს ევროკავშირი მსოფლიოს ყველაზე მძლავრი პოლიტიკურ-ეკონომიური გაერთიანებაა. ევროპის ქვეყნებს შორის 50-იან წლებში დაწყებულმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ ევროპის უნიფიკაციის ისტორიულ პროცესს დაუდო სათავე. ევროკავშირის ბოლო უპრეცენდენტო გაფართოების ტალღა ამ პროცესის უმნიშვნელოვანესი ეტაპია. ევროკავშირის ოთხი გაფართოების შემდეგ, 2004 წლის 1 მაისს ევროკავშირს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 სახელმწიფო შეუერთდა, რითაც წევრ სახელმწიფოთა რიცხვი 25-მდე გაიზარდა. ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, კვიპროსი და მალტა. უკანასკნელ წლებში, თვით ევროკავშირის დახმარებით, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში მყოფმა ქვეყნებმა, პოლიტიკური და ეკონომიკური რე-

ფორმების ეფექტურად გატარების შედეგად, შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს. აღნიშნული ადასტურებს, რომ ძლიერი პოლიტიკური ნებისა, საზოგადოების ერთიანი აქტიური მხარდაჭერისა და ძალისხმევის შემთხვევაში, სოციალისტური ტოტალიტარული რეჟიმიდან ევროპული ტიპის დემოკრატიად გარდაქმნა, ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლა, შედარებით მოკლე დროშიც არის შესაძლებელი.

2004 წლის 29 ოქტომბერს, რომში, ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლებმა, რუმინეთის, ბულგარეთისა და თურქეთის წარმომადგენლებთან ერთად ხელი მოაწერეს ევროკავშირის ერთიან კონსტიტუციას. კონსტიტუცია ძალაში შევა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული პარლამენტების მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ ან რიგ ქვეყნებში ეროვნული კონსტიტუციით გათვალისწინებული რეფერენდუმების შედეგად.

2005 მაისსა და ივნისსში საფრანგეთსა და ნიდერლანდებში გამართულ რეფერენდუმზე ამ ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობამ უარი განაცხადა ევროკავშირის კონსტიტუციის რატიფიცირებაზე. ამ ეტაპზე კონსტიტუციას მხარი დაუჭირა ევროკავშირის 14 წევრმა სახელმწიფომ.

ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნები



ევროკავშირის წევრი ქვეყნები

ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები

ევროკავშირის ინსტიტუტები

ევროკომისია

ევროკომისია წარმოადგენს ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირის ინსტიტუტების გადაწყვეტილებათა განხორციელებას. მას ხშირად მიიჩნევენ ევროპული იდეის ხორცშესხმად, ვინაიდან მის წევრებს არავითარი ვალდებულება არ აკისრიათ ეროვნული მთავრობის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარდგენა სწორედ ამ უკანასკნელის მიერ ხდება. თავის საქმიანობაში ევროკომისრები მათი ეროვნული მთავრობებისაგან დამოუკიდებლები არიან.

ევროკომისიას შედგება 24 ევროკომისარისაგან, რომლებიც 5 წლის ვადით აირჩევიან. მისი უმაღლესი ხელმძღვანელი პირია კომისიის პრეზიდენტი (ევროკავშირის თითოეული წევრი ქვეყანა, კომისიაში წარმოდგენილია ერთი წევრით). ევროკომისია მოიცავს 26 დარგობრივ გენერალურ დირექტორატს, სამდივნოს, იურიდიულ სამსახურს, ოფიციალური გამოცემების ოფისს, სტატისტიკის ოფისს, სათარჯიმნო და საკონფერენციო სამსახურებს. ევროკომისიაში დაახლოებით 15 ათასი კაცია დასაქმებული.

ევროკომისია იმ მთავარ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელიც ამზადებს და ახორციელებს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებებს. ევროკომისია თავად არ ღებულობს სტრატეგიულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს. ეს სფერო ევროკავშირის საბჭოს პრეროგატივაა. ნებისმიერი მნიშვნელოვანი წინადადების მომზადებისათვის (მათი შემდგომ ევროკავშირის საბჭოსათვის გადაცემის მიზნით) ევროკომისია ატარებს კონსულტაციებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავ-

რობებთან, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ლობისთან, პროფკავშირებთან და ტექნიკურ ექსპერტებთან.

ევროკომისია ეროვნული მთავრობებისაგან დამოუკიდებელია საბაჟო კავშირის, ერთიანი ბაზრის, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისა და სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების სფეროებში. რაც შეეხება ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას და შინაგანი საქმეების სფეროს, აქ ევროკომისიის კომპეტენცია შეზღუდულია.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: **http://europa.eu.int/comm/index_en.htm**

მინისტრთა საბჭო (საბჭო)

თუ ევროკომისია გამოხატავს საერთო ევროპულ ინტერესებს, მინისტრთა საბჭოში ხდება თითოეული წევრი სახელმწიფოს ინტერესის დაფიქსირება. იგი ევროკავშირის წევრი-ქვეყნების წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოა. მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია არის ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინტერესების ევროკავშირის დონეზე წარმოდგენა.

საბჭო განსაზღვრავს ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ელემენტებს და სამოქმედო ჩარჩოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკისათვის.

ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობა როტაციულია და ანბანის მიხედვით იცვლება წელიწადში ორჯერ ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს შორის (იანვარი-ივნისი).

ამჟამად არსებობს ევროკავშირის საბჭოს დაახლოებით 25 სხვადასხვა ფორმატის შეხვედრა. საგარეო საქმეთა, ეკონომიკის, ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრები ყოველთვიურად ატარებენ შეხვედრებს, ხო-

ლო დანარჩენები, მაგალითად ტრანსპორტის, გარემოს დაცვის და მრეწველობის მინისტრები წელიწადში ორჯერ იკრიბებიან.

ევროკავშირის შესახებ ამჟამად მოქმედი შეთანხმების მიხედვით, საბჭოში, ევროკავშირის ყოველ წევრ ქვეყანას, ამ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობისა და ტერიტორიის ზომის გათვალისწინებით, ხმათა გარკვეული რაოდენობა აქვს მინიჭებული, მაგალითად:გერმანიას, იტალიას, საფრანგეთსა და გაერთიანებულ სამეფოს 29-29 ხმა, ესპანეთსა და პოლონეთს - 27, ნიდერლანდებს -13, ბელგიას, ჩეხეთს, საბერძნეთს, უნგრეთსა და პორტუგალიას - 12, ავსტრიასა და შვედეთს - 10, დანიას, ირლანდიას, ლიტვას, სლოვაკეთსა და ფინეთს - 7, კვიპროსს, ესტონეთს, ლატვიასა და სლოვენიას - 4, მალტას - 3.

ევროკავშირის ე.წ. სამი „სვეტის"[1] კომპეტენციაში შემავალი საკითხები ევროკავშირის საბჭოს მიერ წყდება კვალიფიცირებული უმრავლესობით და/ან ერთხმად. თავის მხრივ, კვალიფიციური უმრავლესობა ნიშნავს, მინიმუმ 62 ხმას, რომელიც მინიმუმ 10 წევრი ქვეყნიდან უნდა იყოს შედგენილი.

გადაწყვეტილება პირველი „სვეტის" ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, შიდა ბაზარი, გარემოს დაცვა და ტრანსპორტი

---

[1] *„ევროკავშირის სვეტი"* არის პირობითი დასახელება კომპეტენციის იმ სფეროებისა, რომლებიც გადანაწილებულია ერთის მხრივ ევროკავშირის საბჭოს და ევროკომისიის და მეორე მხრივ ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს შორის. პირველი სვეტი მოიცავს –ევროპული გაერთიანებების სამ არსებულ შეთანხმებას (ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანების შექმნის შესახებ, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების შესახებ), მეორე სვეტი მოიცავს საგარეო და უსაფრთხოების საერთო პოლიტიკას, მესამე სვეტი კი უზრუნველყოფს წევრი ქვეყნების თანამშრომლობას სამართლისა და შინაგან საქმეთა სფეროებში.

მიიღება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით, ხოლო ამავე „სვეტის“ ისეთი საკითხები, როგორებიცაა გადასახადები, მრეწველობა, კულტურა, ევროკავშირის რეგიონალური და სოციალური ფონდები, კვლევა და ტექნოლოგია საჭიროებენ ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მეორე (ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა) და მესამე (სამართალი და შიდა საქმეები) „სვეტები„ ყოველთვის საჭიროებენ ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ევროკავშირის საბჭო გამოსცემს შემდეგი სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებს:

მარეგულირებელი აქტები: მარეგულირებელი აქტები ატარებენ იურიდიულად სავალდებულო ხასიათს და მათ ახორციელებს მხოლოდ ევროკომისია;

დირექტივები: დირექტივები ატარებენ იურიდიულად სავალდებულო ხასიათს და უნდა შესრულდნენ წევრი ქვეყნების მიერ. წევრი ქვეყნების არჩევანზეა, თუ რა საშუალებით უნდა განახორციელოს დირექტივა;

გადაწყვეტილებები: გადაწყვეტილებები ატარებენ იურიდიულად სავალდებულო ხასიათს და შეიძლება მიმართული იყოს არა მარტო წევრი ქვეყნის მიმართ, არამედ ცალკეული ინსტიტუტების და პიროვნებების მიმართ;

რეკომენდაციები და მოსაზრებები: რეკომენდაციები და მოსაზრებები არ ატარებენ იურიდიულად სავალდებულო ხასიათს.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: http://ue.eu.int/en/summ.htm

ევროპული საბჭო

ევროპული საბჭო არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები უმაღლესი დონის ორგანო. მას ფორმალური ხასიათი 1987 წელს ერთიანი ევროპული აქტით მიეცა.

ფორმალური იურიდიული თვალსაზრისით ევროპული საბჭო არ არის ევროკავშირის ინსტიტუტი, მაგრამ მან შეასრულა ყველაზე დიდი როლი ევროპული ინტეგრაციის სფეროში.

ევროპული საბჭოს შემადგენლობაში შედიან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა პრეზიდენტები ან მთავრობათა მეთაურები და ევროკომისიის პრეზიდენტი. მას არ აქვს საკანონმდებლო ფუნქციები. ევროპული საბჭო მოწოდებულია დასახოს ზოგადი პოლიტიკური მიზნები და განსაზღვროს პრიორიტეტები. ევროპული საბჭო წელიწადში სამჯერ ან ოთხჯერ ატარებს შეხვედრებს, სადაც განიხილება და მტკიცდება ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები. შეხვედრები ტარდება იმ წევრ ქვეყანაში, რომელსაც მოცემულ მომენტში უკავია თავმჯდომარის პოსტი მინისტრთა საბჭოში, ხოლო ამ სახელმწიფოს მეთაური ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას და პასუხს აგებს სხდომათა ორგანიზებაზე.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: **http://europa.eu.int/comm/index_en.htm**

ევროპარლამენტი

ევროპარლამენტის მთავარი მიზანია უზრუნველყოს ევროკავშირის ინსტიტუტების დემოკრატიული კონტროლი და დააკისროს მათ პასუხისმგებლობა, თუმცა ევროპარლამენტის საკანონმდებლო ძალაუფლება საკმაოდ შეზღუდულია. ევროპარლამენტი ევროკავშირის საბჭოსთან ერთად ასრულებს კანონშემოქმედებასთან და ბიუჯეტთან დაკავშირებულ ფუნქციებს.

თავდაპირველად, რომის ხელშეკრულების (1957წ.) თანახმად, ევროპარლამენტს ჰქონდა მხოლოდ საკონსულტაციო უფლებები. მაასტრიხტის (1993წ.) და ამსტერდამის (1999წ.) ხელშეკრულებების თანახმად პარლამენტის საკანონმდებლო უფლებები გაიზარდა და ამჟამად ევროპარლამენტი, ევროკავშირის საბჭოსთან ერთად, იყოფს საკანონმდებლო უფლებებს.

ევროპარლამენტის საკანონმდებლო ფუნქცია ძირითადად მრჩევლის როლს წარმოადგენს. პარლამენტის მიერ შემოთავაზებული შესწორებები კომისიამ შეიძლება ჩართოს საბჭოსათვის წარსადგენ კანონპროექტში, მაგრამ უარყოფის შემთხვევაში კომისია ვალდებულია აუხსნას პარლამენტს მიზეზები, თუ რატომ არ იყო ეს შესწორებები გაზიარებული.

ევროპარლამენტს და ევროკავშირის საბჭოს აქვთ ე.წ. თანაგადაწყვეტილებების პროცედურა (**codecision procedure**). ეს პროცედურა მოიცავს გადაწყვეტილებების მიღებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა მუშახელის თავისუფალი გადაადგილება, მომხმარებლის უფლებების დაცვა, განათლება, კულტურა, ჯანდაცვა და ტრანსევროპული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.

ევროპარლამენტის თანხმობაა საჭირო ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო შეთანხმებებზე, როგორიცაა ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების მიღება, მესამე ქვეყნებთან ასოცირებული, პარტნიორობის და თანამ-

შრომლობის შესახებ შეთანხმება, სტრუქტურული ფონდების გახარჯვის ყოველწლიური მიმართულებების შემუშავება, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილება ევროპის ცენტრალური ბანკის საორგანიზაციო თუ ფინანსურ სფეროში.

ევროპარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილება უფრო არსებითია. იგი ოფიციალურად ითვალისწინებს საბიუჯეტო ძალაუფლების განაწილებას მინისტრთა საბჭოსთან და მისი თანხმობის გარეშე ბიუჯეტის მიღება შეუძლებელია.

აღნიშნულის გარდა ევროპარლამენტი ამტკიცებს ევროკომისიის მთლიან შემადგენლობას. იგი განიხილავს ევროკომისიის საქმიანობას და შეუძლია მისი ხმათა 2/3-ით დათხოვა.

ევროპარლამენტის პირდაპირი არჩევნები პირველად ჩატარდა 1979 წ. წევრების არჩევა ხდება 5 წლიანი ვადით. ევროპარლამენტარები ქმნიან არა ეროვნულ დელეგაციებს, არემედ მრავალეროვნულ პოლიტიკურ ჯგუფებს. 2004 წლის 13 ივნისის პირდაპირი არჩევნების შედეგად ევროპარლამენტი, რომლის შემადგენლობაშიც სულ 732 წევრია, წარმოადგენს ევროკავშირის თითქმის 400 მილიონ ამომრჩეველს და შემდეგი პოლიტიკური ბლოკებისაგან შედგება:

- ევროპის სახალხო პარტია-ევროპელი დემოკრატები - 268 წევრი;
- ევროპარლამენტის სოციალისტთა ჯგუფი - 200 წევრი;
- ევროპის ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი - 88 წევრი;
- მწვანეთა ჯგუფი - ევროპის თავისუფალი ალიანსი - 42 წევრი;
- ევროპის გაერთიანებული მწვანეები/მემარცხენე

ნორდიკული მწვანეები - 41 წევრი;

- ერთა ევროპის კავშირი - 27 წევრი;
- დამოუკიდებლობა და დემოკრატიის ჯგუფი - 37 წევრი;
- სხვადასხვა მცირე პარტიები- 29 წევრი.

ევროპარლამენტში წევრთა კვოტები ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად არის დანაწილებული:

- გერმანია - 99;
- იტალია - 78;
- ესპანეთი - 54;
- ბელგია - 24;
- პორტუგალია - 24;
- ავსტრია - 18;
- ფინეთი - 14;
- ლუქსემბურგი - 6.
- სლოვაკეთი - 14;
- ლატვია - 9;
- კვიპროსი - 6;
- უნგრეთი - 24;
- ჩეხეთი - 24.

საფრანგეთი - 78;
დიდი ბრიტანეთი - 78;
ნიდერლანდები - 27;
საბერძნეთი - 24;
შვეცია - 19;
დანია - 14;
ირლანდია - 13;
პოლონეთი - 54;
ლიტვა - 13;
სლოვენია - 7;
ესტონეთი - 6;
მალტა - 5;

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე:
http://ue.eu.int/en/Info/eurocouncil/index.htm

მართლმსაჯულების სასამართლო

მართლმსაჯულების სასამართლო ახდენს ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების სათანადო ინტერპრეტაციასა და უზრუნველყოფს წევრი ქვეყნების კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შე-

საბამისობას. მართლმსაჯულების სასამართლოში ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნა წარმოდგენილია თითო მოსამართლით.

მართლმსაჯულების სასამართლო იკრიბება და განიხილავს იმ საქმეებს, რომლებიც მას გადაეცემა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ევროკავშირის ინსტიტუტების, კომპანიების და პიროვნებების მიერ.

მოსამართლეები და მთავარი ადვოკატები ინიშნებიან ექვსი წლით ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების მიერ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მოსამართლეები სამწლიანი ვადით თვითონ ირჩევენ სასამართლოს თავმჯდომარეს.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: **http://curia.eu.int/en/index.htm**

აუდიტორთა საბჭო

აუდიტორთა საბჭო არის გადასახადების გადამხდელთა წარმომადგენლების ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს, თუ როგორ ხარჯავენ ევროგაერთიანებები ფინანსურ საშუალებებს, რამდენად მიზნობრივად და საბიუჯეტო პროცედურის გათვალისწინებით წარმოებს აღნიშნული პროცესი. იგი იძლევა გარანტიას, რომ დაცული იქნება გარკვეული მორალური, ადმინისტრაციული და საბუღალტრო პრინციპები. აუდიტორთა საბჭოს საქმიანობა განიხილება, როგორც ევროგაერთიანებების საქმიანობის გამჭვირვალობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი.

აუდიტორთა საბჭო შედგება 25 წევრისაგან, რომლებიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ, ევროპარლამენტთან შეთანხმებით, ინიშნებიან ექვსი წლის ვადით.

აუდიტორთა საბჭო ყოველი ფინანსური წლის ბოლოს წარადგენს წლიურ მოხსენებას. ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე აუდიტორთა საბჭოს უფლებები გაიზარდა და მას შეუძლია შეამოწმოს ის „გარეშე" ორგანიზაციებიც, რომლებსაც შეხება აქვთ ევროკავშირის ფინანსურ სახსრებთან.

აუდიტორთა საბჭო აუდიტის შემდეგ ევროპარლამენტს და ევროკავშირის საბჭოს გადასცემს ე.წ. „რწმუნებათა განცხადებას" (Statement of Assurance). აღნიშნული დოკუმენტი არის ფორმალური განცხადება გადასახადების გადამხდელთათვის, რომ მათი ფული ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნებისათვის დაიხარჯა.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: **http://www.eca.eu.int/index_en.htm**

რეგიონების კომიტეტი

რეგიონების კომიტეტის ფუნქციაა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესების წარმოდგენა ევროკავშირის დონეზე.

რეგიონების კომიტეტი შედგება ევროპის რეგიონების 222 დამოუკიდებელი წარმომადგენელისაგან და ამავე რაოდენობის ალტერნატიული წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ინიშნებიან ოთხწლიანი ვადით წევრი ქვეყნების მიერ.

ევროკავშირის სტრუქტურაში რეგიონების კომიტეტი არის საკონსულტაციო ორგანო ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიისათვის, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული იქნას რეგიონალური და ადგილობრივი ინტერესები.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები რეგიონების კომიტეტში ქვოტებით არიან წარმოდეგენილები.

რეგიონების კომიტეტის მუშაობა ეყრდნობა შვიდი კომისიის საქმიანობას:

- რეგიონალური პლიტიკა, სტრუქტურული ფონდები და რეგიონთაშორისი თანამშრომლობა;
- სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა;
- ტრანსპორტი და ინფორმატიკა;
- დაგეგმარება, ურბანიზაცია, ენერგეტიკა და გარემოს დაცვა;
- სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, მომხმარებლის უფლებების

დაცვა, მეცნიერება და ტურიზმი;

- დასაქმება, ეკონომიკური პოლიტიკა, ერთიანი ბაზარი,

მრეწველობა, მცირე და საშუალო მეწარმეობა;

- განათლება, კულტურა, ახალგაზრდობის საქმეები და სპორტი.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: **http://www.cor.eu.int/en/index.htm**

ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომიტეტი

ეკონომიკური და სოციალური სფეროს გარკვეულ სექტორებში გადაწყვეტილების მიღებისას ევროკომისია მუშაობს ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომიტეტთან ერთად. ამსტერდამის ხელშეკრულებით კომიტეტს მინიჭებული აქვს ფართო საკონსულტაციო უფლებები არა მარტო ევროკომისიასთან, არამედ ევროპარლამენტთან მიმართებაშიც. ზემოაღნიშნული კო-

მიტეტი შედგება 317 წარმომადგენლისაგან. ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომიტეტში ევროკავშირის წევრი-ქვეყნები წარმოდგენილი არიან რეგიონების კომიტეტის ქვოტების ანალოგიურად.

კომიტეტი შედგება ექვსი სამუშაო ჯგუფისაგან:

- სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა;
- ეკონომიკური და მონეტარული კავშირი;
- დასაქმება და სოციალური საკითხები;
- საგარეო ურთიერთობები;
- ერთიანი ბაზარი;
- ტრანსპორტი, ენერგეტიკა და ინფრასტრუქტურა.

ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომიტეტის საშუალებით ევროპის პროფესიულ კავშირებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: **http://www.esc.eu.int/index_en.asp**

ევროპული საინვესტიციო ბანკი

ევროპული საინვესტიციო ბანკი არის ევროკავშირის საკრედიტო ინსტიტუტი, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე გასცემს გრძელვადიან კრედიტებს კაპიტალური ინვესტიციებისათვის. ბანკის ყოველწლიური საკრედიტო შესაძლებლობა, რომელიც 54 მლრდ. ევროს უტოლდება, ევროკავშირის დაბალანსებული ეკონომიკური განვითარებისათვის ეფექტური მექანიზმი. ბანკი არის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საკრედიტო ინსტიტუტი.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ევროპული საინვესტიციო ბანკის მოქმედების ძირითად არეალს წარ-

მოადგენენ, მაგრამ იგი ასევე მესამე ქვეყნებთანაც მუშაობს, კერძოდ:

- ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში (ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარების და გარემოსდაცვითი პროექტების დაფინანსება);
- ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობა. კერძოდ, რეკონსტრუქციული პროექტები ლიბანში, აგრეთვე ღაზას სექტორში და მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე);
- ლომეს კონვენციის 70 აფრიკულ, წყნაროკეანულ და კარიბულ ქვეყნებში;
- იმ აზიურ და ლათინურამერიკულ ქვეყნებთან, რომლებმაც ხელი მოაწერეს ევროკავშირთან თანამშრომლობის შეთანხმებებს (ტექნოლოგიური ტრანსფერის, ერთიანი საწარმოების და გარემოსდაცვით პროექტებში).

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: **http://www.eib.eu.int/**

ევროპის ცენტრალური ბანკი

ევროპის ცენტრალური ბანკი, ნაციონალურ ბანკებთან ერთად წარმოადგენს ცენტრლური ბანკების ევროპულ სისტემას. იგი წარმართავს ევროკავშირის მონეტარულ პოლიტიკას, ახდენს ევროს ემისიას, დამოუკიდებლად ახორციელებს თავის უფლებამოსილებებსა და მართავს ფინანსებს.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე:

http://www.ecb.int/home/html/index.en.html

ევროკავშირის ერთიანი კონსტიტუცია

ევროკავშირში მნიშვნელოვანი ცვლილებების აუცილებლობაზე აქტიური მსჯელობა ჯერ კიდევ 2000 წლიდან დაიწყო, როცა ნიცაში ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება არსებული შეთანხმებების გადახედვის შესახებ. ამის მიზეზი ევროკავშირის ისტორიაში უპრეცენდენტო გაფართოება გახლდათ, რომელიც 2004 წლის მაისში უნდა დასრულებულიყო. შესაბამისად მიზანშეწონილად ჩაითვალა ევროკავშირის ინსტიტუტების ახალ რეალობასთან ადაპტაცია.

2001 წელს ლეიკენის ევროპულმა საბჭომ ევროკავშირის კონსიტიტუციის შემუშავების მიზნით მიიღო გადაწყვეტილება ევროპული კონვენტის მოწვევის შესახებ, რომლის ხელმძღვანელად საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ„ესტენი დაინიშნა. ევროპულმა კონვენტმა 2003 წლის ივნისში წარმოადგინა ევროკავშირის კონსტიტუციის ტექსტის პროექტი, რომელიც ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ მიღებულ იქნა ევროკავშირის ბრიუსელის სამიტზე 2004 წლის 17-18 ივნისს.

კონსტიტუცია ძალაში შევა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული პარლამენტების მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ ან რიგ ქვეყნებში ეროვნული კონსტიტუციით გათვალისწინებული რეფერენდუმების შედეგად. ამ ეტაპზე წარუმატებლად დასრულდა რეფერენდუმები საფრანგეთსა და ნიდერლანდებში.

კონსტიტუციის თანახმად ევროკავშირის ინსტიტუციონალური სტრუქტურა წარმოდგენილი იქნება შემდეგი ძირითადი ინსტიტუტებით: ევროპარლამენტი, ევროპული საბჭო, მინისტრთა საბჭო (საბჭო), ევროკომისია და მართლმსაჯულების სასამართლო. სხვა ინსტიტუტებიდან ასევე აღსანიშნავია ევროპის ცენტრალური ბანკი, აუდიტორთა სასამართლო, რეგიონების საკითხთა

კომიტეტი და ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.

ევროპარლამენტი

ახალი კონსტიტუციის შესაბამისად ევროპარლამენტი შედგება 750 წევრისაგან. წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა რიცხოვნება განისაზღვრება მინიმალური 6-დან მაქსიმალურ - 96-მდე. წევრები აირჩევიან 5 წლის ვადით. კონსტიტუციის თანახმად ევროპარლამენტი ირჩევს ევროკომისიის პრეზიდენტსა და კენჭს უყრის ევროკომისრების მთლიან შემადგენლობას. იგი განიხილავს ევროკომისიის საქმიანობას და შეუძლია მისი ხმათა 2/3-ით დათხოვა.

ევროპული საბჭო

კონსტიტუციის შესაბამისად ევროპული საბჭოს შემადგენლობაში გარდა წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა ან მთავრობათა ხელმძღვანელებისა ასვე მონაწილეობას იღებს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

კონსტიტუციის თანახმად ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ირჩევა ხმათა კვალიფიცირებული უმრავლესობით, 2 წლისა და 6 თვის ვადით, შემდგომში კიდევ ერთი ვადით არჩევის უფლებით. პრეზიდენტის მიერ მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან სხვა ხელშემშლელი ფაქტორების შემთხვევაში ევროპულ საბჭოს უფლება აქვს არჩევის ანალოგიური პროცედურით შეწყვიტოს მისი მანდატი. ევროპული საბჭოს პრეზიდენტი, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ძალაუფლების შეზღუდვის გარეშე, შესაბამის დონეზე და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს ევროკავშირის საგარეო წარმომადგენლობას

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პილიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.

მინისტრთა საბჭო (საბჭო)

ახალი კონსტიტუციის შესაბამისად მინისტრთა საბჭო ევროპარლამენტთან ერთად ასრულებს საკანონმდებლო და საბიუჯეტო ფუნქციებს და ასევე ასრულებს პოლიტიკის წარმართვისა და კოორდინაციის კონსტიტუციით განსაზღვრულ ფუნქციებს. გარდა კონსტიტუციით განსაზღვრული შემთხვევებისა საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა კვალიფიცირებული უმრავლესობით.

ევროკომისია

კონსტიტუციის შესაბამისად 2014 წლიდან ევროკომისიის წევრთა რაოდენობა, ევროკომისიის პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჩათვლით განისაზღვრება ევროკავშირის წევრი ქვეყნების რაოდენობის ორი მესამედით.

კომისია ანგარიშვალდებულია ევროპარლამენტის წინაშე. ევროპარლამენტს შეუძლია კენჭი უყაროს კომისიისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ წინადადებას. თუ ასეთ წინადადებას ეყრება კენჭი, კომისიის წევრები, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი და ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალდებულნი არიან გადადგნენ.

გარდა ამისა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ხმათა დიდი უმრავლესობით და ევროკომისიის პრეზიდენტის თანხმობით ნიშნავს ევროპული საბჭო.

ახალი მიდგომები ევროკავშირის კონსტიტუციაში:

- კონსტიტუციის უმნიშვნელოვანესი საკითხი ე.წ. "კვალიფიცირებული უმრავლესობაა." - ევროპული საბჭო ან მინისტრთა საბჭო გადაწყვეტილების კვალიფიცირებული უმრავლესობით მიღებისას, კვალიფიცირებული უმრავლესობა შეადგენს საბჭოს წევრ ქვეყანათა არანაკლებ 55%-ს, რომელთა მოსახლეობა ევროკავშირის საერთო მოსახლეობის არანაკლებ 65%-ია. გადაწყვეტილების ბლოკირებისათვის საჭიროა უმცირესობა შეადგენდეს საბჭოს სულ მცირე ოთხ წევრს, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება. კონსტიტუციის მიხედვით ასეთი სისტემა ძალაში უნდა შევიდეს 2009 წლის 1 ნოემბერს.
- გათვალისწინებულია ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი - რომელიც ამავე დროს ევროკომისიის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი იქნება. საგარეო საქმეთა მინისტრის მანდატი მოიცავს ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას, ასევე ევროკომისიის ფარგლებში ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების კოორდინაციას.
- უფრო დეტალურად გაიმიჯნება ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების კომპეტენციები. *კომპეტენციის სფეროები, სადაც მხოლოდ ევროკავშირი იღებს გადაწყვეტილებებს და შესაბამის საკანონმდებლო აქტებს:* საბაჟო კავშირი, შიდა ბაზარზე კონკურენციის წესების დადგენა, სავალუტო პოლიტიკა (მხოლოდ იმ წევრი ქვეყნების მიმართ, რომლებიც ევროზონის წევრები არიან), საზღვაო ბიოლოგიური რესურსების დაცვა ერთიანი თევზ-

რეწვის პოლიტიკის ფარგლებში, ვაჭრობის პოლიტიკა.

ევროკავშირი და წევრი ქვეყნები იზიარებენ კომპეტენციებს: შიდა ბაზარი, სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული კავშირები, მომხმარებელთა დაცვა, გარემოს დაცვა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და სხვა.

ევროკავშირი და წევრი ქვეყნების ერთობლივად განახორციელებენ: ეკონომიკურ და დასაქმების პოლიტიკას და ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას.

ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვეტოს უფლებას შეინარჩუნებენ.

- ახალი კონსტიტუციის მიხედვით ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია გამომდინარე საკუთარი კონსტიტუციის მოთხოვნებიდან ნებაყოფლობით დატოვოს ევროკავშირი.
- მნიშვნელოვანია სოლიდარობის მუხლი, რომელიც ავალდებულებს წევრ ქვეყნებს დახმარება გაუწიონ კავშირის იმ წევრ ქვეყანას, რომელზედაც განხორციელებულია თავდასხმა.

შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ (Partnership and cooperation Agreement – PCA) ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ ევროპის გაერთიანებებსა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის

შეთანხმების საგანი და მიზნები

შეთანხმებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ ევროპის გაერთიანებებსა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ხელი მოეწერა ლუქსემბურგში 1996 წლის 22 აპრილს. ხოლო 1999 წლის 1 ივლისს, ევროკავშირის წევრი თხუთმეტივე ქვეყნის პარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის მიერ სარატიფიკაციო პროცედურების დასრულების შემდეგ, შევიდა ძალაში. ამ შეთანხმების ძალაში შესვლით საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებს დამატებითი იმპულსი მიეცა. როგორც თვით შეთანხმების სახელწოდებიდან ჩანს, ევროკავშირი საქართველოს უკვე არა როგორც დახმარების მიმღებ, არამედ პარტნიორ ქვეყნად განიხილავს. აღსანიშნავია, რომ 1996 წლის 5 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა საშუალედო შეთანხმება, რომელმაც აამოქმედა საქართველოსა და ევროგაერთიანებებს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების სავაჭრო-ეკონომიკური ნაწილი.

საქართველოსა და ევროგაერთიანებებს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, რომელიც შედგება 105 მუხლის, 5 დანართისა და საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციულ ორგანოთა შორის ურთიერთდახმარების შესახებ ოქმისაგან, წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების

ბაზისს. ამ დოკუმენტის საფუძველზე ყალიბდება თანამშრომლობის ინსტიტუციონალური, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ჩარჩოები. ეს ხელშეკრულება დაიდო 10 წლის ვადით, შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების და მხარეების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს დემოკრატიის, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემა, როგორც ეს კერძოდ განსაზღვრულია გაეროს წესდებაში, ჰელსინკის საბოლოო აქტსა (1975 წლის ივლისი) და 1990 წლის ნოემბერს ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის (ეუთო) სამიტზე ახალი ევროპისთვის მიღებული პარიზის ქარტიაში, აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის, მათ შორის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის (ეუთო) ბონის კონფერენციაში.

ბევრ ასპექტში პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ევოლუციური ხასიათი აქვს, რაც მხარეთა შორის დამყარებული ურთიერთობების შემდგომი განვითარების შესაძლებლობას იძლევა და შეთანხმების ეტაპობრივი განხორციელება მხარეებს პარტნიორობის სფეროს გაფართოების საშუალებას აძლევს.

შეთანხმებით დამყარდა პარტნიორობა, ერთი მხრივ, გაერთიანებებსა და მის წევრ სახელმწიფოებს და მორე მხრივ, საქართველოს შორის. ამ პარტნიორობის მიზანია:

- მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგისათვის შესაბამისი ჩარჩოების შექმნა, რაც შესაძლებელს გახდის განვითარდეს მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობები;
- საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერა, რათა მან მიაღწიოს დემოკრატიის განმტკიცებას, განავითაროს ეკონომიკა და დაასრულოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა;

- მხარეებს შორის ვაჭრობის, ინვესტირების, ჰარმონიული ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობა, რაც შესაძლებელს გახდის მათ სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას;
- საკანონმდებლო, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური, სამოქალაქო-სამეცნიეროი, ტექნოლოგიური და კულტურული თანამშრომლობისათვის საფუძველის ჩაყრა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება სერიოზულ საფუძვლელს ქმნის ორმხრივი ურთიერთობების გასაღრმავებლად ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ტრანსპორტი, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, საბანკო საქმე, გარემოს დაცვა, ინვესტიციები, ვაჭრობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითრება, ერთობლივი საწარმოების შექმნის წახალისება, სამართალი და შინაგანი საქმეები, მეცნიერება და ტექნოლოგიები, განათლება, კულტურა და ა.შ. ასე რომ, ამ შეთანხმებით საქმიანობის თითქმის ყველა სფეროა მოცული.

შეთანხმება იძლევა ევროკავშირის მხრიდან საქართველოს დახმარების საშუალებას საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების, დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობის, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების და რიგ სხვა მნიშვნელოვან საკითხებში.

აღნიშნული დოკუმენტი არ შეიძლება იქნას განხილული როგორც შეთანხმება მხოლოდ საქართველოსა და ევროკავშირს შორის, იგი წარმოადგენს აგრეთვე ორმხრივ შეთანხმებას საქართველოს და ევროკავშირის ცალკეულ წევრ სახელმწიფოებს შორის. შეთანხმების მიხედვით, ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები ცნობენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას.

2004 წელს ევროკავშირის გაფართოების შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საქართველოსა და ევროკავშირს შორის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ევროკავშირის ახალ წევრებზე ადაპტაციის პროცესმა, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობებს ახალ საკანონმდებლო ჩარჩოში მოაქცევს და, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას;

ამ მიზნით, ევროკავშირმა შეიმუშავა ე.წ. "გაფართოების პროტოკოლი", რომელიც წარმოადგენს დოკუმენტს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების მიერთების შესახებ. ქართულმა მხარემ "გაფართოების პროტოკოლს" 2004 წლის 30 აპრილს, მოაწერა ხელი ბრიუსელში. "გაფართოების პროტოკოლი" რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტების მიერ და ძალაშია 2004 წლიდან.

ქვემოთ მოცემულია საქართველოსა და ევროგაერთიანებებს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ძირითად მიმართულებათა მოკლე მიმოხილვა.

პოლიტიკური დიალოგი

ხელშეკრულების თანახმად მხარეებს შორის გაიმართება რეგულარული პოლიტიკური დიალოგი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროგაერთიანებების დაახლოებას, მხარს დაუჭერს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს და დააჩქარებს თანამშრომლობის ახალი ფორმების დამკვიდრებას. პოლიტიკური დიალოგი შეიძლება ჩატარდეს რეგიო-

ნალურ დონეზე, რეგიონალური კონფლიქტების და არსებული დაძაბულობის მოგვარების მიზნით.

პოლიტიკური დიალოგის განვითარების მიზნით შეთანხმების შესაბამისად ჩამოყალიბებულია ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საბჭო (მინისტრების დონეზე), თანამშრომლობის კომიტეტი (მოადგილეების დონეზე) და საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტი.

თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრა ყოველწლიურად რეგულარულად მიმოიხილავს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს, საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებთან, საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების საკითხებს და მათი გადაწყვეტის პერსპექტივებს, რეგიონალურ თანამშრომლობას და სხვა.

დღემდე ევროკავშირთან ორმხივი პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში გაიმართა ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის საბჭოს 6 შეხვედრა.

საქონლით ვაჭრობა

საქონლით ვაჭრობაში მხარეები ერთმანეთს ანიჭებენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს, თუმცა აღნიშნული რეჟიმი არ გამოიყენება იმ უპირატესობათა მიმართ, რომელიც განსაზღვრულია საბაჟო კავშირის ან თავისუფალი ვაჭრობის ზონისათვის, ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნისათვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებისა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სპეციალური სავაჭრო რეჟიმის მოქმედებისას და მომიჯნავე ქვეყნებთან სასაზღვრო ვაჭრობის დროს.

თითოეული მხარე მეორე მხარის ტერიტორიაზე წარმოებული საქონლის მის ტერიტორიაზე იმპორტს ათა-

ვისუფლებს რაოდენობრივი შეზღუდვებისაგან (გარდა სპეციალური შემთხვევებისა).

ცალკე შეთანხმებით განისაზღვრებოდა ევროპის გაერთიანებებსა და საქართველოს შორის საფეიქრო პროდუქციით ვაჭრობა.

ევროგაერთიანებებსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დებულებით გათვალისწინებულია სპეციალური პროცედურა ევროპის ქვენახშირისა და ფოლადის შეთანხმებაში მოქცეული პროდუქციით ვაჭრობისას.

ბიზნესის და ინვესტიციების ხელშეწყობა

მხარეები უზრუნველყოფენ, რომ მათ ტერიტორიაზე კანონის დაცვით მომუშავე მეორე მხარის მოქალაქის მიმართ ეროვნულ საფუძველზე არ განხორციელდეს დისკრიმინაცია, თავიანთ მოქალაქეებთან შედარებით შრომითი პირობების, ანაზღაურებისა ან სამუშაოდან განთავისუფლების სფეროში.

კომპანიების დაფუძნება და საქმიანობა

ევროგაერთიანება და მისი წევრი სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე საქართველოს კომპანიებს დაფუძნებისათვის, კომპანიათა ფილიალების და შვილეული საწარმოების საქმიანობისთვის ანიჭებენ მესამე ქვეყნის კომპანიებზე, კომპანიების ფილიალებსა და შვილეულ საწარმოებზე არანაკლები უპირატესობის რეჟიმს.

საქართველო თავის ტერიტორიაზე ევროგაერთიანების და მისი წევრი სახელმწიფოების კომპანიებს დაფუძ-

ნებისათვის, ასევე კომპანიათა ფილიალების და შვილეული საწარმოების საქმიანობისთვის, ანიჭებს თავის ან მესამე ქვეყნის კომპანიებზე არანაკლები უპირატესობის რეჟიმს.

მხარეები მაქსიმალურად ეცდებიან არ მიმართონ იმაზე უფრო მკაცრ ზომებსა და ქმედებას (აღნიშნული ღონისძიებები ეხება ერთმანეთის კომპანიების დაფუძნებასა და მოქმედებას), რომლებიც მიღებული იყო შეთანხმების ხელმოწერის თარიღამდე.

საქართველოსა და ევროგაერთიანებებს შორის სასაზღვრო მომსახურეობის უზრუნველყოფა

ყოველი მხარე ანიჭებს მეორე მხარის დროშით მცურავ გემებს იმაზე არანაკლები ხელშეწყობის რეჟიმს, ვიდრე მინიჭებული აქვს მისი მოქალაქეებისა და კომპანიების კუთვნილ გემებს. გემებს შეუძლიათ შევიდნენ პორტებში, რომლებიც ღიაა საერთაშორისო ვაჭრობისათვის, ისარგებლონ ინფრასტრუქტურითა და პორტის დამხმარე მომსახურებით. აღნიშნული რეჟიმი ვრცელდება შესაბამის გადასახადებზე და ვალდებულებებზე, საბაჟოზე, ხომალდის გაჩერების ადგილზე და დატვირთვა-გადმოტვირთვის საშუალებებზე.

მხარეებს შორის სატრანსპორტო ურთიერთობების კოორდინირებული განვითარების უზრუნველყოფისათვის საგზაო, რკინიგზის, შიგა საწყლოსნო და, სადაც მისაღებია, საჰაერო ტრანსპორტის სფეროებში განისაზღვრება სპეციალური შეთანხმებებით, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ დადონ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ.

მიმდინარე ფულადი გადასახადი და კაპიტალი

საქართველოსა და ევროკავშირის რეზიდენტებს თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის ანგარიშზე შეუძლიათ იმ გადახდის განხორციელება, რაც დაკავშირებულია საქონლის, მომსახურეობისა და მუშახელის გადაადგილებასთან. შეთანხმების მიხედვით გარანტირებული იქნება ინვესტიციების თავისუფალი მოძრაობა, ინვესტიციებისა და მათგან წარმოქმნილი მოგებების ლიკვიდურ საშუალებად ქცევა და რეპატრიაცია.

სანამ საქართველოს ვალუტა არ გახდება სრულიად კონვერტირებადი, საქართველოს შეუძლია გამონაკლის გარემოებებში მიმართოს ვალუტის გადაცვლის შეზღუდვებს, რაც დაკავშირებულია მოკლე და საშუალოვადიანი ფინანსური კრედიტის გაცემასა და აღებასთან.

ინტელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების დაცვა

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ხუთი წლის ბოლოსათვის საქართველომ უნდა უზრუნველყოს ინტელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკითხების უფლებების დაცვის ისეთი დონე, როგორიც არსებობს ევროგაერთიანებებში. ასევე, შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ხუთი წლის ბოლოსათვის საქართველო მიერთებული უნდა იყოს მრავალმხრივ კონვენციებზე ინტელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკითხების უფლებების შესახებ, რომელთა მონაწილეები არიან ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოები.

სამართლებრივი თანამშრომლობა

საქართველო ეცდება უზრუნველყოს მისი კანონმდებლობის თანდათანობითი შესაბამისობა ევროგაერთიანებების კანონმდებლობასთან. ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ევროგაერთიანებები საქართველოს უზრუნველყოფს ტექნიკური დახმარებით, რაც გულისხმობს ექსპერტთა გაცვლას, სემინარებისა და ტრეინინგების მოწყობას, სტაჟირებას, ევროგაერთიანებების კანონმდებლობის თარგმნაში დახმარების გაწევას და შესაბამის საინფორმაციო უზრუნველყოფას.

ეკონომიკური თანამშრომლობა

საქართველო და ევროგაერთიანებები ამყარებენ ფართომასშტაბიან ეკონომიკურ თანამშრომლობას, რომლის მიზანი იქნება ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობა და საქართველოს ეკონომიკის სტაბილური განვითარება. თანამშრომლობის მიზანია ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური კავშირების გაძლიერება.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამხრეთ კავკასიის რეგიონის და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, რეგიონის ჰარმონიული განვითარების სტიმულირებისათვის გამიზნულ ღონისძიებებს.

შეთანხმების შესაბამისი კარი მოიცავს თანამშრომლობას ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროში, მათ შორის, მომსახურეობის, მრეწველობის, მშენებლობის, ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის, სახელმწიფო შესყიდვების, სტანდარტების, სამთო მრეწველობისა და ნედლეულის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, განათლების, სოფლის მეურნეობისა და აგრომრეწველობის,

ენერგეტიკის, გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, საფოსტო მომსახურეობისა და ტელეკომუნკაციების, ფინასური მომსახურეობის, რეგიონალური განვითარების, სოციალური უზრუნველყოფის, ტურიზმის, მცირე და საშუალო საწარმოების, ინფორმაციისა და კომუნიკაციების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, საბაჟოს, სტატისტიკის და მონეტარული პოლიტიკის სფეროებში.

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობა

მხარეები თანამშრომლობენ დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების და მათი ფუნქციონირების განმტკიცების სფეროში, მათ შორის იმ საკითხებში, რომლებიც აუცილებელია კანონიერებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის გასაძლიერებლად საერთაშორისო სამართლისა და ევროსაბჭოს პრინციპების შესაბამისად.

ეს თანამშრომლობა განხორციელდება ევროკავშირის მიერ საქართველოსათვის ტექნიკური დახმარების პროგრამების საშუალებით, რომელიც ითვალისწინებს დახმარებას შესაბამისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შექმნაში, მათ შემდგომ განხორციელებაში, სასამართლოს და საარჩევნო სისტემების ფუნქციონირებაში.

თანამშრომლობა კანონსაწინააღმდეგო ქმედებისა და არალეგალური იმიგრაციის აღკვეთისა და კონტროლის სფეროში

მხარეები თანამშრომლობენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთის მიზნით შემდეგ სფეროებში: ეკო-

ნომიკური სახის დანაშაულები; საქონლის არაკანონიერი ბრუნვა; ყალბი ფულის დამზადება; ფულის გათეთრება; ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო წარმოება, მომარაგება და გადაზიდვა; არალეგალური იმიგრაციის თავიდან აცილება.

თანამშრომლობა აღნიშნულ სფეროებში დაეფუძნება საერთო კონსულტაციებს და ითვალისწინებს ევროგაერთიანებების მიერ საქართველოსათვის ტექნიკური დახმარების გაწევას (საკანონმდებლო აქტების შემუშავება, ინფორმაციის ცენტრის შექმნა, პერსონალის სწავლება, შესაბამისი ორგანიზაციის მოქმედების ეფექტიანობის ამაღლება).

თანამშრომლობა კულტურის სფეროში

მხარეები იღებენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ და წაახალისონ კულტურული თანამშრომლობა. ევროგაერთიანებების ან მისი წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობის პროგრამები კულტურულ სფეროში შეიძლება იყოს ორმხრივი დაინტერესების საგანი.

თანამშრომლობა ტექნიკური დახმარების სფეროში

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიზნების მისაღწევად საქართველო ისარგებლებს დროებითი ფინანსური დახმარებით. ეს დახმარება განხორციელდება ევროგაერთიანების ტექნიკური დახმარების პროგრამა TACIS-ის ფარგლებში სუბსიდიებისა და გრანტების სახით.

აღნიშნული დახმარების მიზნები და სფეროები გათ-

ვალისწინებული იქნება ინდიკატიურ პროგრამაში, რომელშიც აისახება ორ მხარეს შორის შეთანხმებული პრიორიტეტები.

ინსტიტუციონალური, ზოგადი და დასკვნითი დებულებები

პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანამშრომლობის სამი დონის ინტიტუტი:

თანამშრომლობის საბჭო, უმაღლესი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების განხორციელებას და უფლებამოსილია მიმართოს ყველა აუცილებელ ქმედებას შეთანხმების მიზნების მისაღწევად. საბჭოს შემადგენლობაში შედიან საქართველოს მთავრობის წევრები და ევროპის მხრიდან წევრი ქვეყნებისა და ევროკომისიის წარმომადგენლები. იგი იკრიბება წელიწადში ერთხელ მინისტრების დონეზე და მხარეთა წარმომადგენლები მას რიგ-რიგობით თავმჯდომარეობენ. პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების სხვადასხვა მუხლებში განსაზღვრულ კონკრეტულ ამოცანებთან ერთად, საბჭოს შეუძლია განიხილოს ორივე მხარის ინტერესებში შემავალი ნებისმიერი საკითხი და გასცეს სათანადო რეკომენდაციები.

იგივე მხარეები არიან წარმოდგენილი *თანამშრომლობის კომიტეტშიც*, ამჯერად მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეების დონეზე. კომიტეტი ამზადებს საბჭოს სხდომებს და უზრუნველყოფს საბჭოს სხდომებს შორის მუშაობას. საქართველოსა და ევროკომისიის წარმომადგენლები მონაცვლეობენ თავმჯდომარის პოსტზე. გაერთიანების მხრიდან თავმჯდომარეობს ევროგაერთიანების კომისიის წევრი. კომიტეტს უფლება აქვს

შექმნას დამატებითი ქვეკომიტეტები და ორგანოები, რომლებიც მას დახმარებას გაუწევს თავის საქმიანობაში.

საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი შედგება საქართველოს პარლამენტისა და ევროპარლამენტის წევრებისგან და წარმოადგენს ფორუმს ორივე ორგანოს წევრთა შორის დიალოგის წარმართვისთვის. საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი სისტემატიურად ცვლის ინფორმაციას თანამშრომლობის საბჭოსთან და აწვდის მას თავის რეკომენდაციებს. ამშემთხვევაშიც თავმჯდომარეობას ორ მხარეს შორის მონაცვლეობითი ხასიათი აქვს.

1999 წლის დასაწყისში საქართველოს პარლამენტმა შექმნა ევროკავშირთან ურთიერთობების მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაცია.

პოლიტიკური დიალოგი

პოლიტიკური დიალოგი ორმხრივ დონეზე

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს პოლიტიკური დიალოგის წარმოებას.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში საქართველოსთან შეხვედრის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება ევროკავშირის საბჭომ, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების ძალაში შესვლამდე, გამონაკლისის სახით, მიიღო, რაც ევროკავშირის საქართველოსადმი კეთილგანწყობასა და დიდ დაინტერესებაზე მიუთითებს.

ტრადიციულად ევროკავშირს პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში წარმოადგენენ ე.წ. ტროიკა"(სამეულიევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა, წინა თავმჯდომარე და მომავალი თავმჯდომარე), საგარეო პოლიტიკურ უწყებათა, ასევე ევროკავშირის საბჭოს გენერალური სამდივნოსა და ევროკომისიის წარმომადგენლები. საქართველოს დელეგაცია წარმოდგენილია შესაბამისი სამინისტროებით, რომელთაც ხელმძღვანელობს საგარეო საქმეთა მინისტრი.

პოლიტიკური დიალოგი რეგიონალურ დონეზე

რეგიონალურ დონეზე პოლიტიკური დიალოგის ჩატარებას ითვალისწინებს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მე-5 მუხლი.

1999 წლის 22 ივნისს ლუქსემბურგში გაიმართა ე.წ. "კავკასიური სამიტი", რომელშიც მონაწილეობდნენ: საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტები ბ-ბი ე. შევარდნაძე და რ. ქოჩარიანი, აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი ბ-ნ ა. რასიზადე (აზერბაიჯანის პრეზიდენტი ბ-ნი ჰ. ალიევი ლუქსემბურგში ვერ ჩავიდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო), ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე და ევროკავშირის საბჭოს წევრები, ასევე ევროკომისიის პრეზიდენტი ბ-ნი ჟ. სანტერი და საგარეო ურთიერთობების ევროკომისარი ბ-ნი ჰანს ვან დენ ბრუკი.

სამიტი მიეძღვნა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებების ძალაში შესვლას. სამიტის ფარგლებში გაიმართა რეგიონალური პოლიტიკური დიალოგი ევროკავშირის საბჭოს, ევროკომისიის, სამხრეთ კავკასიის ორი პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მონაწილეობით.

შეხვედრაზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც ევროკავშირი ხაზს უსვამს სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას, მიესალმება რეგიონის ქვეყნების ევროპული ორიენტაციისაკენ სწრაფვას და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული თანამშრომლობის გაფართოებას. ევროკავშირი მიესალმა საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოში. დეკლარაცია მხარს უჭერს რეგიონალური თანამშრომლობის შემდეგომ ინტენსიფიკაციას. დეკლარაციაში აისახა ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა ნება რეგიონში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებისათვის. დეკლარაციაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ გამოხატულია სურვილი და დაინტერესება რეგიონში არსებული სახელმწიფოთაშორისი სატრანსპორტო კომუნიკაციების სრულმასშტაბიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში ევროპულმა მხარემ ხაზი გაუსვა კასპიის რეგიონიდან ნავთობისა და გაზის ექსპორტისა და საექსპორტო მარშრუტებით ენერგორესურსების უსაფრთხო მიწოდების მნიშვნელობას რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური სტაბილურობისა და კეთილდღეობის მიღწევის საქმეში. დეკლარაციამ მხარი დაუჭირა რეგიონალურ დონეზე პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში პერიოდულად მსგავსი შეხვედრების ჩატარებას.

საყურადღებოა, რომ, მიუხედავად ევროკავშირის დიდი მონდომებისა, ერთობლივი დეკლარაციის მიღება, სომხეთის და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის შეუთანხმებლობის გამო, ვერ მოხერხდა 1996 წელს ლუქსემბურგში ჩატარებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და ევროკავშირის მსგავს სამიტზე. 1999 წლის სამიტის ერთობლივი დეკლარაცია რეგიონალური თანამშრომ-

ლობის კუთხით პრაქტიკულად ერთადერთი ამ ტიპის დოკუმენტია დღემდე.

ევროკავშირის გაფართოების ფონზე საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და სამხრეთ-კავკასიის რეგიონში ევროკავშირის როლის გააქტიურებით ხასიათდება. საქართველო და მთლიანად სამხრეთ კავკასია 2004 წლის ივნისიდან ჩართულია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში. სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული სირთულეების გამო საქართველო ცდილობს ევროკავშირთან ურთიერთობაში განსაკუთრებული დატვირთვა მიანიჭოს შავი ზღვის რეგიონის ფარგლებში თანამშრომლობის ფორმატს. სამხრეთ კავკასია, როგორც შავი ზღვის რეგიონის ქვერეგიონი, ამ შემთხვევაში თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებს იძენს.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ევროკავშირის როლის ზრდის კონტექსტში აღსანიშნავია 2003 წელს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის[2] (EU Special Representative – EUSR) დანიშვნა, რომელსაც როგორც პრაქტიკული, ასევე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. 2006 წელს მისი ახალი მანდატის მიხედვით, მას ეველება არამარტო ხელი შეუწყოს (EUSR asists) კონფლიქტების დარეგულირების პროცესს რეგიონში, არამედ საკუთარი წვლილი შეიტანოს (EUSR contributes) ამ საქმეში. ამჟამად ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში არის შვედი დიპლომატი, ელჩი პეტერ სემნები.

---

[2] სამხრეთ კავკასიის გარდა, ევროკავშირის თავისი სპეციალური წარმომადგენელი ჰყავს მაკედონიაში, ბოსნია-ჰერცოგოვინაში, ავღანეთში და ახლო აღმოსავლეთში, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაქტში.

ევროინტეგრაციის პროცესის ხელშემწყობი ინსტიტუციონალური მექანიზმის განვითარება საქართველოში

ევროკავშირის რიგი ახალი წევრი სახელმწიფოების (სლოვენია, ჩეხეთი, პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები), კანდიდატი სახელმწიფოების (ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი, მაკედონია და ხორვატია) გამოცდილების გათვალისწინებით შეიქმნა და ფუნქციონირებს ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის შესაბამისი ინსტიტუციური მოდელი, რომლის ერთ-ერთ ძირითად რგოლს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისია წარმოადგენს. კომისიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კომისიის ხელმძღვანელის მოადგილეა. სახელმწიფო მინისტრის აპარატი კომისიის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს.

ევროინტეგარციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა 16 უწყებათაშორისი სექტორული სამუშაო ქვეჯგუფი, რომელშიც სახელმწიფო მოხელეებთან ერთად TACIS–ის პროექტის ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) ექსპერტები შედიან. ინტეგრაციის პროცესის თანამიმდევრულად წარმართვისა და ეფექტური კოორდინაციის მიზნით, რეგულარულად იმართება ევროინტეგრაციის კომისიის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების შეხვედრები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს ევროინტეგრციის საკითხებით დაინტერესებულ სამეცნიერო და საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლებთან. სპეციალურად შეიქმნა საზოგადო-

ებრივ ექსპერტთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. საბჭოს ძირითადი ფუნქციაა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებზე საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო მინისტრისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 ივლისის № 112 დადგენილებით შეიქმნა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში სამოქმედო გეგმის თაობაზე საქართველოს პოზიციის შემუშავებისა და ევროპის მხარესთან მოლაპარაკებების კომისია. კომისიის თანათავმჯდომარეები არიან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში. კომისიის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

ევროინტეგრაციის მექანიზმი

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისია


ევროკავშირის პროექტი
ევროპული საკითხების და საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნული საბჭოს ქვეშ - ევროპული საერთაშორისო ცენტრი (GEPLAC)
ეკონომიკური ინტეგრაციის მინისტრი
ფინანსთა მინისტრი
ეკონომიკური ზრდის, მეწარმეობისა და ადგილობრივი დონის მინისტრი
ეკონომიკის, წარმოებისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი
ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი რესურსების საკითხებში

საქართველოს ევროპულ კავშირთან დაახლოება და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა

პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველომ იკისრა ქვეყანაში ევროპული სტანდარტების დამკვიდრების საერთაშორისო ვალდებულება. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მხარეებმა ეკონომიკური კავშირების განმტკიცებისა და შემდგომი თანამშრომლობის გამყარების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია აღიარეს.

საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება უნდა განხორციელდეს შეთანხმების 43-ე მუხლით განსაზღვრულ ჰარმონიზაციის პრიორიტეტულ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სფეროებში: „კანონები და ნორმები, რომლებიც არეგულირებს კორპორაციების მიერ ინვესტიციების განხორციელებას, საკორპორაციო სამართალი, საბანკო სამართალი, კორპორაციების ანგარიშები და გადასახადები, ინტელექტუალური საკუთრება, დასაქმებულთა დაცვა სამუშაო ადგილზე, ფინანსური მომსახურება, კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები, სახელმწიფო შესყიდვები, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, ცხოველთა და მცენარეთა დაცვა, გარემოსა და მომხმარებელთა დაცვა, არაპირდაპირი გადასახადები, ტექნიკური ნორმები და სტანდარტები, ატომური დარგის მარეგულირებელი კანონები და კანონქვემდებარე აქტები, ტრანსპორტი“.

თვით შეთანხმების განხორციელების პროცესი უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც აღნიშნული ვალდებულების შესრულების, ისე საქართველოს დემოკრატიულ, უსაფრთხო და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნად ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ნიშანდობლივია, რომ საქართველომ, პოსტ-საბჭოურ სივრცეში, ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება 1997 წელს მიიღო საქართველოს პარლამენტმა, ამავე მოწვევის პარლამენტმა, მიუხედავად მასში წარმოდგენილი პოლიტიკური ძალების სიჭრელისა, ერთხმად მოახდინა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია.

2000 წლის 24 ივლისს შეიქმნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომლის ერთ-ერთი ამოცანა იყო საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა და შეთანხმებით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

კანონმდებლობის ჰარმონიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით, ევროკავშირმა იკისრა ვალდებულება, საქართველოსთვის გაეწია ტექნიკური დახმარება შეთანხმებით განსაზღვრულ სფეროებში. შესაბამისად, საქართველოში სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ხელშემწყობ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა TACIS -ის პროგრამის ფარგლებში შექმნილი საკონსულტაციო ცენტრი - „ჯეპლაკი“ (GEPLAC).

2000 წელს მომზადდა „საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანებების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია“. მოგვიანებით ჰარმონიზაციის

სტრატეგიაზე დაყდნობით შემუშავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანებების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა. აღნიშნული პროგრამა მნიშვნელოვნად ემყარება კანონმდებლობის შედარებით ანალიზსა და ჰარმონიზაციის პროცესის ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლას. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გათვალისწინებით შემდგომ ეტაპზე სახელმწიფო უწყებებმა შეიმუშავეს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები, რომლებიც საფუძვლად დაედო ჰარმონიზაციის სამოქმედო გეგმას.

ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის 2004-06 წლების სამოქმედო გეგმა 2004 წლის ოქტომბერში დამტკიცდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სხდომაზე.

ამ ეტაპზე, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების მხრივ გატარებულია მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინებით მიღებულია უმნიშვნელოვანესი კანონები სოფლის მეურნეობის, საგადასახადო, ენერგეტიკის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, განათლების, სოციალური დაცვის, სტანდარტიზაციისა და ეკონომიკური კანონმდებლობის განვითარებისათვის მნიშვნელოვან სხვა სფეროებში.

ევროკავშირის დახმარების პროგრამები საქართველოსათვის

ევროკავშირის მიერ საქართველოსადმი გაწეული დახმარება 1992-2005 წლებში თითქმის 0.5 მილიარდ ევროს შეადგენს (რეგიონალური პროგრამების გამოკლებით). მათ შორის ჰუმანიტარული დახმარება - 106.25 მლნ. ევრო, ტექნიკური (არამატერიალური) დახმარება პროგრამა TACIS-ის ფარგლებში - 111 მლნ. ევრო, სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა დაახლოებით 80 მლნ. ევრო, მაკრო-ფინანსური დახმარების ფარგლებში გრანტის სახით დაახლოებით 31,5 მლნ. ევრო და სხვა.

2003 წლის ნოემბრის "ვარდების რევოლუციის" შემდგომ ევროკავშირმა ყოველმხრივი მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს რეფორმების განხორციელების საქმეში. პირველ ეტაპზე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად სწრაფი რეაგირების მექანიზმის ფარგლებში (RRM) დაუყოვნებელი დახმარების სახით გამოიყო 2 მლნ. ევრო. 2004 წლის ივნისში ევროკომისიისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ქ. ბრიუსელში გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც დონორმა ქვეყნებმა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა საქართველოსათვის დახმარების ვალდებულება აიღეს, რომლის ჯამური ოდენობა დაახლოებით 850 მლნ. ევროს უდრიდა. ევროკავშირმა თავის მხრივ გაზარდა ადრე დაგეგმილი დახმარება 125 მლნ-დან 137 მლნ. ევრომდე, რაც რაოდენობრივად ორჯერ აღემატება 2001-2003 წლებში გაწეული დახმარების მოცულობას.

	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	Total M€ ჯამი მლნ. ევროში
ჰუმანიტარული დახმარება: Humanitarian Aid		11.78	17.81	27.45	10.20	5.80	6.41	6.93	2.62	1.05	2.00	2.20	4.00	2.00	100.25
ევროპის სოფლის მეურნეობის მართვისა და საგარანტიო ფონდი EAGGF				41.00	21.55										62.55
განსაკუთრებული ჰუმანიტარული დახმარება Exeptional Humanitarian Aid		6.00													6.00
რუსეთის ფინანსური კრიზისის გავლენის დაძლევისათვის გამოყოფილი დახმარება Aid against effect of Russian financial crisis								4.00							4.00
სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა Food Security Programme					18.25	16.00		12.00				13.00	12.00	9.3	80.55
TACIS[1]-ის ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული თანხები TACIS National Programme Allocation	9.00	4.00	4.00	6.00	8.00	8.00	8.00	8.00	11.00	4.00	14.00*		27.00*		111.00
საუნივერსიტეტო თანამშრომლობის პროგრამა TEMPUS															4.700

[1] TACIS – ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებისათვის

* - ორწლიანი პროგრამა

რეაბილიტაციის პროგრამა კონფლიქტურ რეგიონებში Rehabilitation programme in Conflict Zones						3.50	6.50	7.50					2.00	6.46	25.96
ენგურ-ეს თაღოვანი კაშხლის მსაყრდენი ფარის და ენგურ-ეს მესამე პიდროარეგატის რეაბილიტაცია Enguri Rehabilitation															10.00
განსაკუთრებული ფინანსური დახმარება Exeptional financial assistance							10.00	9.00		6.00			6.50		31.50
ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული მხარდაჭერა CFSP[2]									1.09	0.25	0.10	0.16	2.5	0.133	4.233
დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა EIDHR										0.23	2.50	2.82	2.00	1.025	8.575
სწრაფი რეაგირების მექანიზმი RRM												2.00	4.65		6.65
ჯამი მლნ. ევროში Total MC	9.00	21.78	21.81	74.45	58.00	33.30	30.91	47.43	14.71	11.53	18.60	20.18	58.15	18.918	455.968

[2] - ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ბიუჯეტიდან დამატებითად ფინანსდება ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და კანონის უზენაესობის მისია საქართველოში - EUJUST THEMIS

ტექნიკური დახმარების პროგრამა TACIS

პროგრამა TACIS (ტასისი - ტექნიკური დახმარების პროგრამა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისათვის) შეიქმნა ევროკავშირის მიერ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისა და მონღოლეთისათვის. პროგრამის მიზანია ამ ქვეყანებში დემოკრატიული პრინციპებისა დამკვიდრება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის ხელშეწყობა. პროგრამა ითვალისწინებს ორ კომპონენტს: ეროვნული კომპონენტი (დახმარება ცალკეული ქვეყნებისთვის) და რეგიონალური კომპონენტი (დახმარება დსთ-ს სივრცეში ერთობლივად რამდენიმე ქვეყნისათვის).

საქართველოში ტასისის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა რეგულირდება 1994 წლის 2 თებერვალს საქართველოს მთავრობასა და ევროპის თანამეგობრობის კომისიას შორის ხელმოწერილი "დაფინანსების შესახებ მემორანდუმთან გამოსაყენებელი ზოგადი წესების ფარგლებში, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 5 მარტს.

აღნიშნული მემორანდუმი სამომავლოდ უნდა შეიცვალოს ახალი ჩარჩო-ხელშეკრულებით, რომელზედაც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა.

2007 წლის 1 იანვრიდან პროგრამა ტასისი წყვეტს თავის არსებობას. იგი შეიცვლება ევროპის სამეზობლო პარტნიორობის ინსტრუმენტით (**European Neighbourhood Partnership Instrument, ENPI**).

ტასისის საბაზისო დოკუმენტს შეადგენს ე.წ. ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტი, იგივე ქვეყნის ინდიკატიური პროგრამა, რომელსაც ევროკომისია შეიმუშავებს 4 წელიწადში ერთხელ. ამ დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი სიტუაცია ქვეყნის შიგნით და საქართველოს მთავრობასთან ერთად განსაზღვრულია ის პრიორიტეტები, რომელთა ფარგლებში ხდება შემდგომი დახ-

მარების პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. 2004 წლის დასაწყისში განხორციელდა საქართველოს ბოლო ინდიკატიური პროგრამის რევიზია, მასში აისახა 2003 წლის ცვლილებები და განხორციელებული რეფორმები. ამჟამად ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტში საქართველოსათვის განსაზღვრულია 2 პრიორიტეტი:

1. ინსტიტუციონალური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეფორმის ხელშეწყობა;
2. გარდამავალი პერიოდის სოციალური პრობლემების დაძლევის ხელშეწყობა.

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ხდება მუშავდება ტასისის სამოქმედო პროგრამა (TACIS Action Programme - AP), რომელიც მოიცავს 2 წელიწადს და ეფუძნება ინდიკატიური გეგმის პრიოტეტებს. დღეისათვის პროგრამა ტასისის ფარგლებში საქართველოში მიმდინარეობს 2002-2003, 2004-2005 და Bis 2004-2005 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტები. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ტასისის დასკვნით 2006 წლის სამოქმედო გეგმაზე (AP 2006).

სამოქმედო გეგმა 2004/2005

პრიორიტეტი 1. - ინსტიტუციონალური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეფორმა

ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (GEPLAC)	2.000.000	ევრო
პროკურატურის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში	1.000.000	ევრო
პენიტენციალური სისტემისა და პრობაციის სამსახურის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში	2.000.000	ევრო
შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა	1.000.000	ევრო
ეროვნული საკოორდინაციო ბიუროს ტექნიკური მხარდაჭერა	800.000	ევრო

პრიორიტეტი 2. - გარდამავალი პერიოდის სოციალური პრობლემების დაძლევის მხარდაჭერა

პირველადი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა	1.000.000 ევრო
საქართველოს სოციალური სადაზღვევო ერთიანი სახელმწიფო ფონდის რეფორმის მხარდაჭერა	1.000.000 ევრო

დამატებითი ინფორმაცია ტასისის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე:

http://www.eu-integration.gov.ge

საუნივერსიტეტო თანამშრომლობის პროგრამა ტემპუსი - TEMPUS

ტემპუსი ითვალისწინებს პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ევროპული სტანდარტების შემოღებას, საბაზრო ეკონომიკის შესაფერისი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებას, თანამედროვე სასწავლო ლიტერატურით მიწოდებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, სტუდენტთა საზღვარგარეთ სწავლას, უნივერსიტეტების მენეჯმენტის გაუმჯობესებას, საუნივერსიტეტო რეფორმას, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებას.

პროგრამა ხორციელდება სამი ტიპის გრანტის საშუალებით:

1. ერთობლივი ევროპული პროექტი – **Joint European Project (JEP);**

2. სტრუქტურული და დამატებითი ღონისძიებები (საქართველო ჯერ-ჯერობით არ მონაწილეობს ამ ტიპის გრანტში) – **Structural and Complementary Measures (SCM);**

3. ინდივიდუალური მობილურობის გრანტი - **Individual Mobility Grant (IMG)**

პროგრამით ფინანსდება როგორც ე.წ. "ეროვნული" პროექტები (ერთი პარტნიორი ქვეყნის მონაწილეობით), ასევე პროექტები რამდენიმე პარტნიორი ქვეყნის მონაწილეობით (**multi-country**). თითოეული პროექტის ღირებულება არ აღემატება 300 000 ევროს.

ტემპუსის პროგრამას აფინანსებს ევროკომისია და ევროკომისიის განათლების და კულტურის დეპარტამანეტთან ერთად მართავს ევროპის სასწავლო ფონდი, რომელიც თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებებისა და განათლების ნაციონალური პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით.

საქართველო 1995 წლიდან სარგებლობს ამ პროგრამით. 1995 წლიდან დღემდე გრანტის სახით გამოყოფილი იყო 4.700 მლნ. ევრო და დაფინანსდა 5 მცირემასშტაბიანი მოსამზადებელი და 20 ერთობლივი პროექტი (**JEP**), რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან 13 უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა. გარდა ამისა, ინდივიდუალური მობილურობის გრანტით იქნა დაფინასებული 20 ქართველი პროფესორ-მასწავლებლისა და სპეციალისტის გამგზავრება ევროპულ უნივერსიტეტებში ხანმოკლე ვიზიტით.

დამატებითი ინფორმაცია ტემპუსის პროგრამის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე:

http://www.eu-integration.gov.ge

პროგრამა TACIS-ის რეგიონალური პროგრამები

ტასისის პროგრამის რეგიონალურ თანამშრომლობის კომპონენტი რეგულირდება 2003-2006 წლების რეგიონალური ინდიკატური პროგრამის და ყოველწლიური სამოქმედო პროგრამების საშუალებით და მოიცავს 3 ძირითად მიმართულებას: TRACECA (ევროპაკავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი), INOGATE (ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება ევროპაში) და გარემოსდაცვითი პროექტები.

TRACECA (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი)

პროგრამა TRACECA-ს საფუძველი 1993 წ. მაისში ქ. ბრიუსელში ევროპის ტრანსპორტისა და ენერგეტიკის მინისტრების კონფერენციაზე ჩაეყარა. პროგრამის მიზანია სატრანსპორტო დერეფნის განვითარება ევროპიდან შუა აზიამდე აღმოსავლეთ ევროპის, შავი ზღვის, ამიერკავკასიისა და კასპიის ზღვის გავლით (ისტორიული აბრეშუმის გზა).

TRACECA-ს მონაწილე ქვეყნებია: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, უკრაინა, მონღოლეთი, მოლდოვა, ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი. წევრობაზე განაცხადი შეტანილი აქვთ ავღანეთსა და ირანს, ასევე მოლაპარაკება მიმდინარეობს საბერძნეთთან და ჩინეთთან.

TRACECA-ს ინსტიტუციურ მოწყობას საფუძველად უდევს მონაწილე ქვეყნების პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი "ძირითადი მულტილატერული შეთანხმება ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შესახებ" (ბაქო, 8 სექტემბერი 1998), რომელიც შემდეგ რატიფიცირებულ იქნა ზემოთჩამოთვლილი

ქვეყნების პარლამენტების მიერ (საქართველოს პარლამენტის მიერ-2000 წლის აპრილში).

2005 წლის 21-22 აპრილს ქ. ბაქოში ჩატარდა TRACECA-ს რიგით მე-4 მთავრობათაშორისი კომისია, რომელზედაც გადაწყდა TRACECA-ს საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნა.

INOGATE (ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება ევროპაში)

ევროკავშირის პროგრამა INOGATE წარმოადგენს ევროპაში გაზისა და ნავთობის სახელმწიფოთაშორისო ტრანსპორტირების საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამას, რომლის განხორციელება დაიწყო 1996 წელს.

პროექტის მიზნებია:

- ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის რეგიონული გადამცემი სისტემების რეაბილიტაცია, რაციონალაზაცია და მოდერნიზაცია;
- კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებიდან ევროპული და დასავლეთის ბაზრებისაკენ ენერგომატარებლების ტრანსპორტირების შესაძლებელი ალტერნატიული მარშრუტების შეფასება.

INOGATE-ის პროგრამის საქმიანობა მოიცავს ხუთ სფეროს:

- არსებული გაზისა და ნავთობსადენების მდგომარეობის შეფასება;
- ახალი მილსადენების მშენებლობისა და განვითარების შესაძლებლობების შეფასება;
- ენერგომატარებლების სახელმწიფოთაშორისი გადაზიდვა და ვაჭრობის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაზრდა;
- მცირე ზომის სასწრაფო ინვესტიციების განხორ-

ციელება მილსადენების პრობლემატურ ადგილებში;
- რესურსების ადმინისტრირების და მილსადენების ოპერაციების შესახებ ნოუჰაუს გადაცემა.

INOGATE-ის პროგრამის მონაწილე ქვეყნები არიან: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ბულგარეთი, ხორვატია, საქართველო, საბერძნეთი, ყაზახეთი, სლოვაკია, ყირგიზეთი, თურქეთი, ლატვია, ტაჯიკეთი, მოლდოვა, რუმინეთი, სერბია და მონტენეგრო, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი.

გარემოს დაცვა

პროგრამის მიზნებია:
- ბუნებრივი რესურსების (წყალი, ხე-ტყე, ენერგეტიკული რესურსები) რაციონალური და ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა,
- ჯანმრთელობისათვის საზიანო გარემო პირობების გაუმჯობესება,
- ეკონომიკური განვითარების, სტაბილურობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერა.

აღნიშნული მიზნები ეხმიანება საქთრველოს ეროვნულ და მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტის (WSSD) პრიორიტეტებს და შეესაბამება ევროკავშირის მდგრადი განვითარების ერთიან სტრატეგიას. 2005 წლის რეგიონალური სამოქმედო პროგრამის მთავარი პრიორიტეტია წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა და მენეჯმენტი.

სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამა (SCAD)

პროგრამას დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ და მას გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ახორ-

ციელებს. პროგრამა 2001 წელს დაიწყო და ამჟამად მისი მეოთხე ფაზა მიმდინარეობს. პროგრამის ბიუჯეტია 2,2 მლნ. ევრო, საიდანაც საქართველოს წილი 810,000 ევროს შეადგენს. პროგრამის ძირითადი მიზანია სამხრეთ კავკასიაში კონკრეტული ღონისძიებების გატარება ნარკოტიკების ტრანსპორტირებასა და მოხმარებაზე კონტროლის გასაუმჯობესებლად.

პროგრამა 8 მოიცავს პროექტს:

1. საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
2. აეროპორტში ნარკოტიკების კონტროლის გაძლიერება;
3. საზღვაო პორტში ნარკოტიკების კონტროლის გაძლიერება;.
4. სახმელეთო საზღვრებზე ნარკოტიკების კონტროლის გაძლიერება,
5. ნარკოტიკულ ნივთიერებათა მონაცემთა ბაზის ფორმირება;
6. ნარკომანიის მონიტორინგის სისტემის შექმნა;
7. პრევენცია სკოლებში;
8. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

დამატებითი ინფორმაცია რეგიონალური პროგრამების მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე:

http://www.eu-integration.gov.ge

განსაკუთრებული ფინანსური დახმარების პროგრამა (EFA)

1997 წლის 10 დეკემბერს ევროკავშირმა 'საგანგებო ფინანსური დახმარების პროგრამის" ფარგლებში 1997 წელს საქართველოს გამოუყო 110 მლნ. ევრო გრძელ-

ვადიანი კრედიტის სახით. აგრეთვე შექმნილი საკრედიტო დავალიანების დაფარვის ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირმა წლიური ტრანშების სახით ახდენს გრანტების გამოყოფას. ქართული მხარე ვალდებულია ყოველი ტრანშის გადმორიცხვამდე შეასრულოს ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის შეამციროს არსებული საკრედიტო დავალიანების ნაწილი და დაფაროს საგარეო ვალის თანმდევი პროცენტები.

1998-2004 წლებში საქართველოს წლიური ტრანშების სახით გადმოეცა 31,5 მლნ. ევროს მოცულობის გრანტი.

ევროკავშირის განსაკუთრებული ფინანსური დახმარების პროგრამით საქართველომ 2005-2006 წლებში უნდა მიიღოს 33.5 მლნ. ევრო გრანტის სახით.

სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა (FSP)

სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა წარმოადგენს 1995-1996 წლებში მიმდინარე ჰუმანიტარული სასურსათო დახმარების პროგრამის (Food Aid) გაგრძელებას. პროგრამის ძირითადი მიზანია სოფლის მეურნეობის სოციალური უსაფრთხოებისა და საბიუჯეტო თანხების მენეჯმენტის გაუმჯობესების მხარდაჭერა. პროგრამა წარმოადგენს ფინანსური დახმარების ინსტრუმენტს და მის ფარგლებში ხდება თანხების ჩარიცხვა პირდაპირ ბიუჯეტში. ხსენებული პროგრამის ფარგლებში საქართველომ მიიღო 80.55 მლნ. ევრო, საიდანაც 9,3 მლნ ჩაირიცხა 2005 წელს.

2005-2006 წლების ფარგლებში დაგეგმილია 20 მლნ. ევროს ფინანსური დახმარების მიღება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამის მხარდაჭერა საქართველოში.

სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა დასრულდება 2007 წელს.

ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა (ECHO)

1993 წლიდან საქართველოს ევროკავშირის მიერ გაეწია 106.25 მლნ. ევროს ჰუმანიტარული დახმარება. ამ ტიპის დახმარება ძირითადად ხორციელდება სხვადასხვა საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ: წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), **Acion Contra el Hambre, Premiere Urgency, Danish Refugee Council , Medicin du Monde,** და სხვა.

ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა საქართველოში დასრულდება 2007 წლისთვის.

დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების დაცვის პროგრამა (EIDHR)

პროგრამა დაფუძნებულია ევროპარლამენტის ინიციატივით 1994 წელს მსოფლიოს 32 ქვეყანისათვის. პროგრამის ფარგლებში გრანტის ძირითად მიმღებს წარმოადგენს საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ტიპის პროექტები:ე.წ. "მაკრო" (მინიმუმ 200.000 ევრო) და "მიკრო" პროექტები (მაქსიმუმ 50.000 ევრო). ამჟამად აქართველოში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარება მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებებით: კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, პოლიციასა და საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენა, საქართველოში წამების აღკვეთა, ახალგაზრდობის კომუნალური ცენტრების დაარსება და სხვა.

პროგრამა - სწრაფი რეაგირების მექანიზმი (RRM)

სწრაფი რეაგირების მექანიზმი (RRM) წარმოადგენს კრიზისულ სიტუაციებზე ევროკომისიის დაუყოვნებელი და ეფექტური რეაგირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. RRM-ის მოქმედება მიმართულია პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად, პოსტკონფლიქტური რეკონსტრუქციისათვის, პოლიტიკური რჩევებისათვის და საერთაშორისო დახმარების მობილიზებისათვის. ამ პროექტების ფინანსირების მოცულობა არ არის შეზღუდული, ხოლო თითოეული პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

2003 წელს, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ევროკავშირმა RRM-ის ფარგლებში საქართველოსთვის გამოუყო 6.65 მლნ. ევრო 4 იანვრის საპრეზიდენტო და 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად და საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერის პროექტისათვის.

ევროპელ ექსპერტთა სპეციალური მისია EUJUST THEMIS საქართველოში

2004 წლის 28 ივნისს ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის (ESDP) ფარგლებში, კანონის უზენაესობის განმტკიცების მიზნით, 2004 წლის ივნისში საქართველოში ევროპელ ექსპერტთა სპეციალური მისიის მოვლინების თაობაზე.

ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია პოსტსაბჭოთა სივრცეში ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. იგი ანგარიშვალდებულია ევროკავშირის საბჭოს გენერა-

ლური მდივნის, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ხავიერ სოლანას წინაშე. მისიაზე პოლიტიკურ კონტროლს ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი ახორციელებდა.

მისიის მაღალი პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ქართულ მხარეს შორის გაფორმდა ე.წ. „შეთანხმება მისიის სტატუსის შესახებ" (**Status of Mission Agreement, SOMA**), რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა 2005 წლის 23 თებერვალს, ხოლო საქართველოს მთავრობამ 2004 წლის 10 ივლისს მიიღო № 74 განკარგულება „საქართველოში ევროპელ ექსპერტთა სპეციალური მისიის - "**EUJUST THEMIS**" საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ.

პროექტის ბიუჯეტია 2,050,000 ევრო.

მისიამ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა კანონის უზენაესობის განმტკიცების სფეროს რეფორმების სტრატეგია, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა 2005 წლის 18 მაისს.

მისიამ საქმიანობა 2005 წლის ივლისში დაასრულა. მას შემდეგ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მონიტორინგის მიზნით ორი ევროპელი ექსპერტი აგრძელებს თანამშრომლობას საქართველოს ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან.

სარეაბილიტაციო პროგრამები

დახმარება კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებისათვის

აღნიშნული პროგრამა გამიზნულია პოსტკონფლიქტურ რეგიონებში მოსახლეობის ინტეგრაციის ხელშე-

წყობისა და ურთიერთნდობის ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის. იგი მოიცავს ორ პროგრამას: სამხრეთ ოსეთისა (კონფლიქტით დაზარალებულ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ევროკავშირის სარეაბილიტაციო პროგრამა) და აფხაზეთისათვის (სარეაბილიტაციო პროგრამა აფხაზეთში).

სარეაბილიტაციო პროგრამა სამხრეთ ოსეთში

პროგრამის ამ ეტაპის განხორციელება დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 29 თებერვლის 183 განკარგულების საფუძველზე, რომლის შესაბამისად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოში ეუთოს მისიის, ევროკომისიის დელეგაციისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს სახელწოდებით - „ევროკომისიის მესამე სარეაბილიტაციო პროგრამა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში". პროგრამა 2.5 მილიონი ევროს ღირებულების სამუშაობის ჩატარებას ითვალისწინებს.

შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა მმართველი (საორგანიზაციო) კომიტეტი, რომლის წევრებია ეუთო, ევროკომისია, გაეროს განვითარების პროგრამა, ლტოლვილთა საკითხებზე გაეროს უმაღლესი კომისარის დაწესებულება, ქართული მხარე (კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახ. მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენელი-რწმუნებულის მოადგილე), ოსური მხარე.

სამუშაობის ჩატარებას აფინანსებს ევროკომისია, საორგანიზაციო საქმიანობას (კომიტეტის შეკრება, მოლაპარაკებების ხელშეწყობა, სამუშაობის მიმდინარე-

ობის საერთო კონტროლი) აწარმოებს ეუთო, სარეაბილიტაციო სამუშაობს, კონკურსით შერჩეული ქართველი და ოსი ინჟინრების საექსპერტო დახმარებით და ტენდერის პრინციპით შერჩეული სამშენებლო ორგანიზაციის მეშვეობით, აწარმოებს გაეროს განვითარების პროგრამა.

პროგრამის კონკრეტული მიზნებია:

- ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლის აღდგენა და მათი პირველადი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფა.
- კონფლიქტის ზონაში მუდმივად მაცხოვრებელთა მხარდაჭერის მიზნით ინფრასტრუქტურის ძირითადი ობიექტების აღდგენა;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაცია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების ადგილებში.

სარეაბილიტაციო პროგრამა აფხაზეთში

სარეაბილიტაციო პროგრამა ითვალისწინებს ჯანდაცვის, კომუნალური სამსახურების, აგრარული და ეკონომიკური (არააგრარული) სექტორის რეაბილიტაციას, აგრეთვე ნდობის აღდგენის ღონისძიებებს.

პროექტის კონკრეტული მიზნები:

- ელექტრო გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია (გალი, ოჩამჩირე, ტყვარჩელი, ზუგდიდი)
- ჯანდაცვა და კომუნალური სამსახურები - ოთხი საავადმყოფოს

რეაბილიტაცია, რეგიონში წყალგაყვანილობისა და ნაგვის უტილიზაციის

სამსახურების რეაბილიტაცია (გალი, ოჩამჩირე, ტყვარჩელი, ზუგდიდი).

- ადგილობრივი აგრარული სექტორის მხარდაჭერა (გალი, ოჩამჩირე,
ტყვარჩელი, ზუგდიდი).
- მდინარე კოდორის კალაპოტის და ჯებირების გამაგრება წყალდიდობების
თავიდან ასაცილებლად.
- ნდობის აღდგენის ღონისძიებები.
- სამოქალაქო პოლიციის - **CIVPOL (Civilian Police)** შექმნა ზუგდიდში.
- საინფორმაციო ცენტრის **(Information Sharing Center)** ჩამოყალიბება სოხუმში.

ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის მისაყრდნობი ფარისა და ენგურჰესის მესამე ჰიდროარეგატის რეაბილიტაცია

ენგურჰესის თაღოვან კაშხალზე მისაყრდნობი ფარის დასამზადებლად 2000 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროკომისიასთან 10 მლნ. ევროს გრანტის გამოყოფის შესახებ. ახალი მისაყრდნობი ფარი საშუალებას იძლევა კაპიტალურად გარემონტდეს სამუშაო ფარებს და გაკონტროლდეს წყლის დონე წყალსაცავში.

ევრობანკსა და ევროკომისიას შორის ასევე გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმად ენგურჰესის ელექტრომექანიკური სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის განკუთვნილი სახსრების ათვისება განხორციელდება ევრობანკის სტანდარტული წესების მიხედვით. აღნიშნული სამუშაოები ითვალისწინებს სამი ჰიდროაგრეგატის რეაბილიტაციას. პროექტის დასრულება ნავარაუდევია 2006 წლის ბოლოს.

დამატებითი ინფორმაცია ევროკავშირის პროგრამების მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე:

http://www.eu-integration.gov.ge

დახმარების ახალი ინსტრუმენტები

2007 წლიდან ევროკავშირის დახმარება განხორციელდება ახალი ინსტრუმენტების მეშვეობით:

გეოგრაფიული (ძირითადი) ინსტრუმენტები:

1. ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი - **ENPI** (ახალი მეზობელი ქვეყნები და რუსეთი);
2. გაწევრიანების-წინა დახმარების ინსტრუმენტი - **pre-accession assistance**

(კანდიდატი ქვეყნები - თურქეთი, ხორვატია, პოტენციური კანდიდატი ქვეყნები - ბალკანეთის ქვეყნები);

3. განვითარებისა და ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის ინსტრუმენტი (სხვა ქვეყნები, რომლებსაც არ დაფარავს წინა ორი ინსტრუმენტი).

თემატური ინსტრუმენტები:

1. სტაბილურობის ინსტრუმენტი;
2. ჰუმანიტარული დახმარების ინსტრუმენტი;
3. მაკრო-ფინანსური დახმარების ინსტრუმენტი.

საქართველოსთვის ევროკავშირის დახმარება ძირითადად განხორციელდება ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (**ENPI**) ფარგლებში. თუმცა შესაძლოა, საქართველომ ისარგებლოს სხვა შესაბამისი თემატური ინსტრუმენტებითაც.

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები: რეალობა და პერსპექტივები

შეთანხმება საფეიქრო პროდუქციით ვაჭრობის შესახებ

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ერთ-ერთი პირველი შეთანხმება იყო საფეიქრო პროდუქციით ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. ამგვარად, 1993 წლის 1-ლი იანვრიდან 1999 წლის 31 დეკემბრამდე ევროგაერთიანებასა და საქართველო შორის მოქმედებდა საფეიქრო და ტანსაცმლის პროდუქციით ვაჭრობაზე ორმხრივი შეთანხმება.

შეთანხმების მიხედვით საქართველოს საფეიქრო პროდუქციის და ტანსაცმლის გარკვეული ექსპორტი შეიძლებოდა დაქვემდებარებოდა რაოდენობრივ შეზღუდვებს გაერთიანების ბაზარზე იმ შემთხვევაში, თუკი ექსპორტის მოცულობა გადააჭარბებდა წინა წელს ევროგაერთიანების ბაზარზე აღნიშნულ პროდუქტის მთლიანი იმპორტის გარკვეულ რაოდენობას (0,35-დან 4 პროცენტს სხვადასხვა სასაქონლო კატეგორიის მიხედვით).

ქართული საფეიქრო პროდუქციის ექსპორტის პრაქტიკულად არარსებობის გამო საქართველომ სრულიად ვერ ისარგებლა აღნიშნული შეთანხმებით. საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანების შემდეგ, აქტუალური გახდა ვმო-ს შეთანხმება საფეიქრო და ტანსაცმლის პროდუქციაზე. ეს არის მრავალმხრივი ხელშეკრულება, რომელიც ეხება ვმო-ს წევრებს შორის საფეიქრო და ტანსაცმლის პროდუქციაზე რაოდენობრივი შეზღუდვების თანდათანობით მოხსნას (პროცესი დასრულდა 2005 წლის 1 იანვარს).

ამრიგად, საფეიქრო პროდუქციით ვაჭრობის შესახებ ახალი შეთანხმება აქტუალური არ არის

ვაჭრობის საკითხების რეგულირება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებით

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 1999 წლის 1-ლი ივლისიდან ძალაში შევიდა ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების ძირითადი მიზანია ვაჭრობისათვის ხელის შეწყობა ბარიერების შემცირების და დისკრიმინაციის დაუშვებლობის წესის გამოყენებით. შეთანხმებით განსაზღვრულია უპირატესი ხელშეწყობის ორმხრივი რეჟიმი. ამრიგად, საქართველო ჯერ კიდევ ემოში გაწევრიანებამდე სარგებლობდა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით ევროკავშირის ბაზარზე, ხოლო ემოში გაწევრიანების შემდეგ სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით ემო-ს ყველა წევრ ქვეყანასთან.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ემო)

2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს ემო-ში გაწევრიანების შეთანხმების რატიფიკაციის პროცედურა დაასრულა, ხოლო 2000 წლის 14 ივნისს საქართველო ემო-ს სრულუფლებიანი წევრი გახდა.

ემო-ში თითქმის ყველა საქონელზე ბმული ტარიფის დაწესებით და ემო-ს მიერ საქონლით ვაჭრობის მიმართ გათვალისწინებული მთელი რიგი ვალდებულებების

აღებით, საქართველოს სამართლებრივი ვალდებულებები ევროკავშირის მიმართ და ასევე ევროკავშირის ვალდებულებები საქართველოს მიმართ ახლა განიხილება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების და ვმო-ს წესების ერთიან კონტექსტში.

ევროკავშირის პრეფერენციების განზოგაროებული სისტემა (GSP)

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს უპირატესი ეროვნული ხელშეწყობის რეჟიმიდან გამონაკლისს, რომელიც მოიცავს, ვმო-ს გადაწყვეტილებების და სხვა საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად განვითარებადი ქვეყნებისთვის მინიჭებულ უპირატესობებს პრეფერენციების განზოგადოებული სისტემის (GSP) ფარგლებში.

GSP შემუშავდა 1968-1970 წლებში ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციის (UNCTAD) ეგიდით, როგორც სტიმული განვითარებული ქვეყნებისთვის - მიანიჭონ არადისკრიმინაციული პრეფერენციული ტარიფები განვითარებადი ქვეყნების ექსპორტს. GATT-მა დაამტკიცა ეს მიდგომა ჯერ კიდევ 1971 წლის სპეციალური გადაწყვეტილებით, ხოლო მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, 1981 წელს უფლებამოსილების მიმნიჭებელი პუნქტით. ევროგაერთიანებამ თავისი GSP პირველად შემოიღო 1973 წელს და მას შემდეგ მას სხვადასხვა ფორმით ახორციელებს.

ევროკავშირის პრეფერენციების განზოგადოებული სისტემა, იყენებს რა სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების კლასიკურ საშუალებას - ტარიფებს, ტრადიციულად სავაჭრო პოლიტიკის დამოუკიდებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც ვაჭრობის განვითარებას უწყობს ხელს. ეს სისტემა განვითარებად ქვეყნებს, განვითარე-

ბულთან შედარებით, უფრო დაბალ საბაჟო ტარიფებს სთავაზობს, რაც მათ ექსპორტს ევროკავშირის ბაზრებზე დაშვების შეღავათიანი რეჟიმით უზრუნველყოფს. პრეფერენციების განზოგადოებული სისტემა ხელს უწყობს განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის პროცესის დაჩქარებას, ექსპორტის დივერსიფიკაციას და შესაბამისად, საექსპორტო შემოსავლების ზრდას.

ევროკავშირს აქამდე არსებული GSP-ის სქემის მიხედვით ცალმხრივი სატარიფო შეღავათები ჰქონდა შემოღებული 178 ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვის. GSP-ის მოქმედი სქემა მოიცავდა დაახლოებით 6,900 დასახელების პროდუქციას, რომელთაგან 3,300 კლასიფიცირებული იყო როგორც არამგრძნობიარე პროდუქცია, რომელიც სარგებლობდა უბაჟო რეჟიმით, ხოლო მგრძნობიარე პროდუქცია კი უპირატესი ხელშეწყობის ეროვნული რეჟიმის ტარიფის 3.5 პროცენტული პუნქტიით შემცირებით (უპირატესი ხელშეწყობის ეროვნულ რეჟიმს მინუს 20% საფეიქრო პროდუქციაზე/ტანსაცმელზე).

GSP-ის საერთო რეჟიმთან ერთად მოქმედებდა დამატებითი შეღავათების შემცველი "შრომითი უფლებების დაცვის", "ნარკოტიკების წარმოებისა და ტრეფიკინგთან ბრძოლის" და "ყველაზე ნაკლებ განვითარებული ქვეყნების" სპეციალური სქემები.

საქართველო პასუხობდა GSP-ის არსებული სქემის ფარგლებში დამატებითი პრეფერენციების მინიჭების კველა მოთხოვნას, რომელიც დადებითი სტიმული შეიძლება გამხდარიყო ქართული ექსპორტისათვის. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ჯერ კიდევ 2000 წლიდან აწარმოებდა მოლაპარაკებებს ევროკომისიასთან საქართველოსათვის შრომის დაცვის მიმართულებით დამატებითი შეღავათების (**Special incentive arrangements for Protection of Labor rights**) მინიჭების თაობაზე, რაც ითვალისწინებდა GSP-ს ფარგლებში ე.წ. მგრძნობიარე საქონელზე მოქმედი საბაჟო ტარიფის დამატებით 5%-ით

დაკლებას. აღნიშნული შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, ძირითანად ვმო-ს ფარგლებში ევროკავშირსა და ინდოეთს შორის წარმოშობილი დავის შედეგად.

ევროკავშირის GSP-ის სქემის გარკვეული ნაკლოვანებების გამო, მოგვიანებით ევროკომისიამ შეიმუშავა და 2005 წლის 27 ივნისს ევროკავშირის საბჭომ მიიღო ახალი საკანონმდებლო აქტი (Council Regulation # 980/2005), სადაც მოცემულია პრინციპები, რომლებიც არეგულირებენ ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციების სისტემას განვითარებადი ქვეყნებისთვის მომდევნო ათი წლის განმავლობაში.

სადღეისოდ GSP-ს აქამდე არსებული სისტემა გამარტივდა და აქამდე არსებული შეღავათების ხუთი სისტემა შემცირდა სამამდე:

- პრეფერენციის ზოგადი რეჟიმი (General arrangement), რაც გულისხმობს არამგრძნობიარე პროდუქტებზე ნულოვანი ტარიფს, ხოლო მგრძნობიარე პროდუქტებზე ტარიფი მცირდება მოქმედი ტარიფიდან (MFN-ის ტარიფიდან) 3.5 პროცენტული პუნქტით. აღნიშნულ კატეგორიას ემატება დაახლოებით 300 ახალი დასახელების სასაქონლო ჯგუფი.
- „ყველაფერი იარაღის გარდა" (Everything but arms), რომელიც ევროკავშირის ბაზარზე ნულოვანი ტარიფით და ქვოტების გარეშე შეღწევის საშუალებას აძლევს მსოფლიოს 50 უღარიბეს ქვეყანას, ადრე არსებულის ანალოგიურია.
- მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობისათვის ახალი GSP+ სატარიფო დათმობების დაწესება.

GSP+ სქემა მოიცავს დაახლოებით 7,200 დასახელების პროდუქციას, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე დაიშვება საბაჟო გადასახადების გარეშე და მნიშვნელოვნად განსხვავდება GSP-ის ზოგადი რეჟიმიდან (იხილეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი).

	ნულოვანი სატარიფო განაკვეთი	შემცირებული სატარიფო განაკვეთი მოქმედი MFN-ის ტარიფიდან 3.5 პროცენტული პუნქტით
GSP ზოგადი რეჟიმით	3500 დასახელების არამგრძნობიარე საქონელზე	3700 დასახელების მგრძნობიარე საქონელზე
GSP+ სქემით	7200 დასახელების საქონელზე	–

GSP+ სავაჭრო რეჟიმით სარგებლობის უფლება ენიჭებათ იმ ქვეყნებს, რომლებიც გამოირჩევიან მდგრადი განვითარებით, ეფექტიანი მმართველობის სისტემით და რომლებმაც მოახდინეს აღნიშნული სავაჭრო რეჟიმის მისანიჭებლად აუცილებელი საერთაშორისო კონვენციების (23 კონვენცია) რატიფიკაცია ადამიანთა უფლებების, შრომის დაცვის და სხვა სფეროებში. ამასთანავე, აუცილებელია, მათ დაამტკიცონ რომ არინ მცირე GSP-ის ბენეფიციარი ქვეყნები და მათი ეკონომიკა ნაკლებად დივერსიფიცირებულია.

ამისათვს საჭიროა, რომ:

- ევროკავშირში GSP-ით ხუთ უმსხვილეს სექტორში განხორციელებული იმპორტის მოცულობა შეადგენდეს GSP-ით განხორციელებული იმპორტის საერთო მოცულობის 75%-ზე მეტს,
- GSP-ით ამ ქვეყნიდან იმპორტი შეადგენდეს ევროკავშირის მიერ GSP-ით განხორციელებული იმპორტის საერთო მოცულობის არაუმეტეს 1%.

ახალი სქემა ითვალისწინებს სავაჭრო პრეფერენციების სისტემას განვითარებადი ქვეყნებისთვის მომდევნო ათი წლის განმავლობაში. თუმცა ყოველ სამ წელიწადში მოხდება მისი გადახედვა. ამჟამად დამტკიცებული სქემა მოქმედებს 2008 წლის 31 დეკემბრამდე.

აღსანიშნავია, რომ თუ ქვეყანა არ დააკმაყოფილებს მდგრადი განვითერებისა და ეფექტური მმართველობის კრიტერიუმებს (დაარღვევს შესაბამის კონვენციებს) დაისმება ამ ქვეყნის მიმართ GSP+ მოქმედების შეწყვეტის საკითხი.

GSP+ რეჟიმით სარგებლობის უფლება ქვეყანას შეიძლება ჩამოერთვას აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ მსოფლიო ბანკი აღიარებს მას როგორც მაღალშემოსავლიანს ბოლო სამი წლის განმავლობაში და იმ შემთხვევაში, თუ GSP+ რეჟიმით გატანილ მთლიან პროდუქციაში ხუთი უმსხვილესი სექტორის წილი იქნება 75 %-ზე ნაკლები.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებით, ევროკავშირის საბჭოს ა. წ. 27 ივნისს №980/2005 განაწესის თანახმად საქართველოს ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის ახალი სქემით მიენიჭა მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობისათვის გათვალისწინებული შეღავათები (GSP+ სავაჭრო რეჟიმი). ამრიგად ქართველი მეწარმეებს 2005 წლის 1 ივლისიდან საშუალება ეძლევათ GSP+ სავაჭრო რეჟიმით ისარგებლონ.

აღსანიშნავია, რომ GSP+-ით სარგებლობის უფლება პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველოსა და მოლდოვას მიენიჭათ.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირი საქართველოს მეორე სავაჭრო პარტნიორია დსთ-ს შემდეგ, აღნიშნული შეღავათების მინიჭება მნიშვნელოვანი სტიმული უნდა გახდეს ქართული პროდუქციის ექსპორტისათვის ევროკავშირის ბაზარზე.

ვაჭრობა საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის

ვაჭრობის ძირითადი მიმართულებები

ევროკავშირი საქართველოს მეორე სავაჭრო პარტნიორია დსთ-ს შემდეგ. ორმხრივი ვაჭრობა სწრაფი დინამიზმით და განვითარებით გამოირჩევა. ძირითადი პარტნიორი ქვეყნებია: გერმანია, გაერთიანებული სამეფო, იტალია, საფრანგეთი და ნიდერლანდები. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო წლების მონაცემებით, ევროკავშირის წილად სტაბილურად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის დაახლოებით 30 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის – 17 პროცენტი და იმპორტის – 35 პროცენტი.

2005 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს ვაჭრობამ ევროკავშირის ქვეყნებთან შეადგინა 836 600 მლნ. აშშ დოლარი, რაც დაახლოებით 15 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში 2003-2005

(ათასი აშშ დოლარი)

	2003	2004	2005
იტალია	8 681,8	11 590,7	33554
გაერთიანებული სამეფო	27 925,8	31 693,7	31 931
გერმანია	9 795,9	15 853,6	28 463

ესპანეთი	6 990,9	9 495,9	14 238
საფრანგეთი	4 924,9	9 555,9	11 564
ნიდერლანდები	9 894,6	9 838,0	11 332
საბერძნეთი	5 195,3	7 332,1	10 412
ჩეხეთი	854,3	1 628,8	6 632
ბელგია	3 113,3	5 068,1	5 075
სლოვაკეთი	105,5	2 628,1	2 899
ესტონეთი	7,5	873,4	2 782
ლატვია	823,6	1 029,9	1 746
ავსტრია	301,1	317,0	1 046
ლიტვა	722,3	870,0	972
ირლანდია	42,2	55,7	942
პოლონეთი	231,1	1 528,0	737
პორტუგალია	248,6	143,0	212
კვიპროსი	552,6	430,9	242
დანია	631,9	754,6	219
შვედეთი	42,0	63,4	147
უნგრეთი	532,4	82,8	31
ლუქსემბურგი	-	120,1	29
მალტა	-	454,3	12
სლოვენია	17,5	-	19
ფინეთი	1,5	-	-
სულ	81 636,4	111 407,9	165216

ევროკავშირის იმპორტი საქართველოში 2003-2005

(ათასი აშშ დოლარი)

	2003	2004	2005
გერმანია	82 510,4	151 118,2	206760
საფრანგეთი	55 754,1	63 230,4	97 279
იტალია	36 489,0	61 630,2	64 422
გაერთიანებული სამეფო	145 616,4	171 425,4	70 213
ნიდერლანდები	23 884,2	34 624,8	53 088
ბელგია	949,4	15 546,5	25 518
ავსტრია	11 279,2	22 265,0	19 012
ჩეხეთი	6 175,6	12 348,4	20 552
საბერძნეთი	9 432,1	14 485,2	18 593
პოლონეთი	3 638,2	8 429,6	13 657
ფინეთი	2 684,6	6 337,5	13 250
უნგრეთი	7 656,0	10 152,8	14 339
შვედეთი	6 383,2	4 850,2	9 623
დანია	11 039,2	8 435,6	7 065
ესპანეთი	3 634,3	6 405,6	8 451
ლატვია	3 992,6	2 906,1	6 195
ლიტვა	1 409,5	3 554,2	5 014

პორტუგალია	1 388,5	2 158,5	3 143
სლოვენია	3 251,0	3 970,1	4 054
ირლანდია	1 652,7	2 184,9	4 329
სლოვაკეთი	914,7	1 336,4	2 949
კვიპროსი	1 492,3	8 056,2	1 734
ესტონეთი	44,7	45,0	1 143
ლუქსემბურგი	407,6	71,0	939
მალტა	1,6	0 ,1	-
სულ	430 681,3	616 369,0	671 387

ევროკავშირის ბაზარზე ძირითადი საექსპორტო საქონელია: თხილი, მინერალური და გაზიანი წყლები, მინერალური სასუქები, ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, დაუმუშავებელი ოქრო, შაეი ლითონის ჯართი და ა.შ.

იმპორტში ჭარბობს მსუბუქი მანქანები, სამკურნალო საშუალებები, შაქარი, გამოთვლითი მანქანები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები და ა.შ.

ევროკავშირის იმპორტი საქართველოში (10 უმსხვილესი პროდუქცია) 2003-2005

(ათასი აშშ დოლარი)

		2003	2004	2005
0802	თხილი	6 207	8 523	12 785
2202	მინერალური წყლები	7 783	9 092	13 638
3102	მინერალური/ქიმიური სასუქები	8 191	10 696	16 044
7202	ფეროშენადნობები	2 934	5 168	7 752
8431	მანქანა/დანადგარების ნაწილები	477	1 576	2 364
2603	მადნები და კონცენტრატები სპილენძის	0	5 618	8 4207
8430	სხვა მანქანები და მექანიზმები გადაადგილების, ამოთხრის ან გაბურღვისათვის	0	94	141
8479	მანქანები და მექანიკური მოწყობილობები სპეციალური დანიშნულების	58	14	21
7204	ნარჩენები და ჯართი შავი ლითონებისა	1 622	1 624	2 436
2845	იზოტოპები, 2844 სასაქონლო პოზიციის იზოტოპების გარდა	292	597	895
	სხვა	54 072	68 406	71 772
	სულ	81 636	111 408	136 274

ევროკავშირის იმპორტი საქართველოში (10 უმსხვილესი პროდუქცია) 2003-2005

(ათასი აშშ დოლარი)

		2003	2004	2005
8703	მსუბუქი ავტომობილები	34 719	81 225	81 882
3004	სამკურნალო საშუალებები	34 071	41 416	54 187
1701	შაქარი	22 231	13 391	38 318
8471	გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	5 029	10 109	11 481
2710	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	5 061	5 423	10 927
8704	სატვირთო ავტომობილები	3 605	9 052	10 146
8525	სამაუწყებლო დანადგარები	11 615	8 731	8 645
3302	ნარევები გამოსაყენებული სასმელების წარმოებაში	2 782	4 852	8 478
7308	მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან და მათი ნაწილები	384	1 275	8 325
7010	ბოცები, ბოთლები და სხვა მინის ტევადობები	4 442	4 869	7 772
	სხვა	306 742	436 028	331 306
	სულ	430 681	616 369	571 467

ახლადგაწევრიანებული ქვეყნები

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანა მიმდინარე 2004 წლის მაისიდან ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ამასთან ამ ქვეყნებთან მოქმედი ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური სახის შეთანხმებებმა შეწყვიტეს მოქმედება და აღნიშნულ ქვეყნებთან ამოქმედდა ევროკავშირთან არსებული სავაჭრო რეჟიმი. შესაბამისად, 10 ახალი წევრი ქვეყანა მიუერთდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

აქამდე აღნიშნული 10 ქვეყნიდან საქართველო პრეფერენციების სისტემით (GSP) სარგებლობდა მხოლოდ 4 ქვეყანასთან (ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, ესტონეთი). ყველა ამ ქვეყნის სისტემები განსხვადებოდა ერთმანეთისგან და პრაქტიკულად არ მოუხდენია გავლენა რეალურ ექსპორტზე. ამჟამად საქართველოს 4 ქვეყნის მაგივრად დამატებით 6 ქვეყანასთანაც აქვს უკვე GSP+-ის რეჟიმით სარგებლობის უფლება. ამასთან, მეწარმეთათვის ყოველთვის ხელსაყრელია ერთი სისტემის ათვისება და მისი გამოყენება, ვიდრე რამდენიმე სისტემებით სარგებლობა.

ამრიგად, აღნიშნული ქვეყნების გაწევრიანებამ ევროკავშირში გაამარტივა GSP-ის რეჟიმს დაქვემდებარებული ქართული ექსპორტის შეღწევა ამ ქვეყნებში. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში ქართული ექსპორტს გარკვეული სირთულეებს შეუქმნის გამკაცრებული არასატარიფო ბარიერები.

დღეისათვის სამწუხაროდ, საქართველოს ვაჭრობის ხვედრითი წილი ევროკავშირის 10 ახლად გაწევრიანებულ ქვეყნებთან საქართველოს ვაჭრობის მთლიან მოცულობაში ძალზედ მცირეა.

ევროკავშირთან საქართველოს ვაჭრობა GSP რეჟიმით

ბოლო წლებში შეინიშნება ევროკავშირთან GSP-ის რეჟიმით საქართველოს ვაჭრობის ზრდა. როგორც სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, თუ 2000 წელს საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში დაახლოებით 70 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა და შეღავთიანი GSP-ის რეჟიმით ისარგებლა 18.5 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების საქონელმა (ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 26.4%), 2003 წლისათვის საქართველოს ექსპორტი გაიზარდა 76.0 მლნ დოლარამდე, ხოლო GSP-ის რეჟიმით განხორციელებული იქნა დაახლოებით 42 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტი (55.3%). 2004 წლის მონაცემების მიხედვით, ევროკავშირში საქართველოს ექსპორტმა შეადგინა 111 მლნ. აშშ დოლარი, საიდანაც GSP-ის რეჟიმში მოხვდა 50 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია (45%).

შესაბამისად გაიზარდა გაცემული GSP-ის შეღავათებით სარგებლობისათვის საჭირო წარმოშობის დამადასტურებელი "ფორმა A" სერტიფიკატის რაოდენობაც: 2000 წელს იყო 358, 2001 წელს – 305, 2002 წელს – 309, 2003 წელს – 528. 2004 წელს გაცემულია 494 სერტიფიკატი. GSP-ის გამოყენების (უტილიზაციის) მაჩვენებელი 2003-2004 წლებში დაახლოებით 70-80% შეადგენდა.

2004-2005 წლებში ევროკავშირში GSP-ის რეჟიმით გასული საქართველოს ექსპორტის უმსხვილესი სასაქონლო პოზიციებია: უალკოჰოლო სასმელები, ამონიუმის გვარჯილა, სილიკომანგანუმი, თხილი.

როგორც უკვე აღინიშნა, 2005 წლის 1 ივლისიდან საქართველო სარგებლობს ახალი GSP+ სქემით, რომელიც იგი მოიცავს დაახლოებით 7,200 დასახელების პროდუქციას, რომლებიც ევროკავშირის ბაზარზე შე-

იძლება დაიშვას საბაჟო გადასახადების გარეშე.

ფაქტიურად საქართველო გახდა რა GSP+ -ის მომხმარებელი ქვეყანა, ევროკავშირიდან ცალმხრივად მიიღო თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი არსებული სატარიფო განრიგის დაახლოებით 75%-ზე. GSP+ იძლევა უნიკალურ შანსს საფეიქრო პროდუქციით ვაჭრობაში, რადგან ის ვრცელდება მთლიანად საფეიქრო საქონელზე (სასაქონლო კოდები 50-66).

ევროკავშირში საქართველოს 43 ძირითადი ან პოტენციური საექსპორტო საქონლის რეჟიმი

კოდი	საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში (ათასი აშშ დოლარი)	წლები			საგაჭრო რეჟიმი
	დასახელება	2003	2004	2005 8 თვე	2005 წ.1 იანვლისიდან
	სულ ექსპორტი ევროკავშირში	81 636,40	111 407,90	90 849,70	
	მათ შორის:				
802	კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი	9 310,70	12 784,50	14 081,30	GSP+
902	ჩაი, არომატიზებული ან არაარომატიზებული	629,3	873	497,1	GSP+
1106	წმინდად და უხეშად დაფქული ფქვილი და ფხვნილი გამხმარი პარკოსანი ბოსტნეულისა-	-	110	183,5	GSP+
1209	გან თესლი, ნაყოფი და სპორები დასათესად	785	848,7	253,8	GSP+
2008	ნაყოფი და მცენარის სხვა ნაწილები, სხვა წე- სით დამზადებული ან დაკონსერვებული	2	5	1 795,70	GSP+
2009	წვენები ხილის და ბოსტნეულის	744,3	847,9	618,4	GSP+
2101	ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები ყავის, ჩაის ან მატესი	254,6	501,6	261,8	GSP+
2201	წყლები მინერალური; ყინული და თოვლი	176,5	78,4	207,4	MFN(0%)
2202	წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით	11 674,00	13 637,70	13 340,00	GSP+
2204	ყურძნის ნატურალური ღვინოები	1 136,50	1 529,80	1 163,70	MFN/GSP+

2208	სპირტი ეთილის, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები	108,8	355,2	225,5	MFN (0%)
2602	მადნები და კონცენტრატები მანგანუმის	1 307,10	2 832,10	303,6	MFN (0%)
2603	მადნები და კონცენტრატები სპილენძის	-	8 426,60	6 053,80	MFN (0%)
2709	ნავთობი ნედლი და ნავთობპროდუქტები ნედლი, მიღებული ბიტუმოვანი მინერალებისაგან	579,6	2 369,80	317,6	GSP+
2845	იზოტოპები, 2844 სასაქონლო პოზიციის იზოტოპების გარდა	438,4	895,2	1 959,60	MFN (5,5%) /GSP+
3102	სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	12 287,10	16 044,30	11 068,40	GSP+
4407	ხე-ტყის მასალა, გასწერივ დახერხილი ან დაპობილი, სისქით 6 მმ-ზე მეტი	977,8	393,1	313,5	GSP+
4409	დახერხილი ხე-ტყე	227,9	455,2	674,5	MFN (0%)
4418	სამშენებლო ნაწარმი ხისა	21,3	102,4	124,4	GSP+
6202	პალტოები, ლაბადები და ანალოგიური ნაწარმი ქალისა ან გოგონასათვის	48,8	13,8	210,6	GSP+
6204	კოსტუმები, კომპლექტები, კომბინეზონები, ბრიჯები და შორტები, ქალისა ან გოგონასი	595,7	635	985,5	GSP+
6206	ბლუზები, პერანგები ქალის ან გოგონასი	14,4	8	346,6	GSP+
6309	ტანსაცმელი და ნაწარმი ნახმარი, სხვა	46,8	31,4	108,2	GSP+
7108	ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრად-დამუშავებული, ან ფხვნილის სახით	20 325,70	16 760,80	1 655,30	MFN (0%)

7115	სხვა ნაკეთობები ძვირფასი ლითონებისაგან	1 051,60	1 488,10	1 182,70	MFN (0%)
7202	ფეროშენადნობები	4 400,40	7 752,00	11 032,00	GSP+
7204	ნარჩენები და ჯართი შავი ლითონებისა	2 433,50	2 435,50	1 981,70	MFN (0%)
7207	ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	-	763,8	262,2	MFN (0%)
7306	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, სხვა, შავი ლითონებისაგან	1,6	36,9	136,1	GSP+
7307	„ფიტინგები“ მილების ან მილაკებისათვის შავი ლითონებისაგან	61,4	160,4	104,2	GSP+
7326	ნაწარმი სხვა შავი ლითონებისაგან	47,9	0,3	261,8	GSP+
8414	ტუმბოები საჰაერო ან ვაკუუმიანი, საჰაერო ან აირის კომპრესორები და ვენტილატორები	-	707	253,7	GSP+
8430	სხვა მანქანები და მექანიზმები გადაადგილების, ამოთხრის ან გაბურღვისათვის	-	140,8	2 506,00	GSP+
8431	ნაწილები განკუთვნილი 8425–8430 სასაქონლო პოზიციების მოწყობილობებისათვის	714,9	2 364,40	8 667,40	GSP+
8462	მანქანები ლითონების დასამუშავებლად	-	-	177,9	GSP+
8479	მანქანები და მექანიკური მოწყობილობები სპეციალური დანიშნულების	87,6	21,1	2 127,30	GSP+
8502	ელექტროგენერატორული დანადგარები და მბრუნავი ელექტრო გარდამქმნელები	0,9	354,1	311,8	GSP+
8515	მანქანები და აპარატები ელექტრული შედუღებისათვის	-	1 163,30	455,9	GSP+

8517	აპარატები ელექტრული სატელეფონო ან სატელეგრაფო სადენიანი კავშირისათვის	565,7	892,2	270,8	GSP+
8525	აპარატურა გადამცემი რადიოსატელეფონო, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიისათვის	7,3	36	195,2	GSP+
8609	კონტეინერები	-	23,1	137,6	GSP+
8907	სხვა მოცურავე საშუალებები	-	-	279,6	GSP+
9026	ხელსაწყოები და აპარატურა სითხის ან აირის ხარჯის ან სხვა მახასიათებლების საზომი	3,3	395,8	187,9	GSP+
	სულ ძირითადი 43 საექსპორტო საქონელი	71 068,40	99 274,30 87	281,60	

ღვინით ვაჭრობა

ღვინო საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქციაა. 2005 წლის ღვინის რეგისტრირებულმა მთლიანმა ექსპორტმა 81 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2004 წლის მონაცემზე 33 მილიონი აშშ დოლარით მეტია. ქართული ღვინის ექსპორტს სტაბილურად მზარდი ტენდენციია ახასიათებს. თუმცა აღნიშნული სექტორი დიდად არის დამოკიდებული რუსეთის სამომხმარებლო ბაზარზე. ევროკავშირის ქვეყნების წილი უმნიშვნელოა და ამჟამად არ აღემატება 3 პროცენტს (დაახლოებით 2 მლნ აშშ დოლარის პროდუქცია).

2004 წლის იანვარში საქართველოს დელეგაციასა და ევროკომისიის სოფლის მეურნეობის გენერალური დირექტორატის წარმომადგენლებს შორის გამართული კონსულტაციების შედეგად, დასრულდა. ევროკავშირის მიერ ქართული ღვინის ოფიციალურად ცნობის პროცესი. ეს ნიშნავს, რომ ღვინის ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ, ევროკავშირის ბაზარზე, ღვინის პროდუქციის ექსპორტი ლეგალურად და ამასთან, შეუზღუდავი რაოდენობით განახორციელონ, რამაც, მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი ევროკავშირის სივრცეში ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდას და საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ ღვინის ძირითადი სახეობები არ შედის საქართველოსთვის 2005 წელს მინიჭებულ GSP+ რეჟიმში, თუმცა ოთხი კატეგორიის ღვინო (22043092, 22043094, 22043006, 22043098 – ძირითადად ღვინის შემაგრებული სახეობები) პირველად შევიდა პრეფერენციულ რეჟიმში და იბეგრება შეღავათიანი ტარიფით. ღვინის საბაჟო გადასახადი შედგება ადვალორული (პროცენტული) და სპეციფიკური გადასახადისგან. GSP+ -ის რეჟიმის პირობებში ადვალორული გადასახადი ნულს

უტოლდება, ხოლო სპეციფიკური გადასახადი მესამე ქვეყნების გადასახადის დონეზე რჩება.

ევროკავშირის სივრცეში, მესამე ქვეყნიდან, ღვინის პროდუქციის იმპორტისათვის საჭიროა სერტიფიკატი "ფორმა VI"-ის წარდგენა, რომელსაც საქართველოში ავტორიზებული სერტიფიკაციის ლაბორატორიები გასცემენ. ქართული ღვინის ექსპორტის ხელისშემწყობის მიზნით 2004 წელს გერმანიის მთავრობის დახმარების საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიქმნა ღვინის ხარისხის კონტროლის საგამოცდო ლაბორატორია.

როგორც ქართველი მეწარმეები აღნიშნავენ, ევროკავშირის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად გვეელინება არა საიმპორტო ტარიფები, არამედ ქართული ღვინის ცნობადობა, ბაზარზე დასამკვიდრებლად საჭირო სარეკლამო კომპანიისათვის აუცილებელი სახსრების ნაკლებობა და ევროკავშირის მომხმარებლის განსხვავებული გემოვნება ქართული ღვინის გასაღების ტრადიციული ბაზრების მომხმარებლებთან შედარებით.

სხვა პერსპექტიული პროდუქცია

ევროკავშირის ბაზარზე სერიოზული პოტენციალი გააჩნია ქართული ნატურალურ და მინერალური წყლებს (სასაქონლო ნომერი 2202) ექსპორტი. GSP+ მოიცავს წყალს, მათ შორის მინერალურ წყალს (220210), რომელზეც GSP-ის ზოგადი რეჟიმით საბაჟო გადასახადი იყო 6.1%, ახლა კი GSP+ -ით ნულოვანი გადასახადით იბეგრება.

ახალი GSP+ სქემა ხელსაყრელია ქართული თხილის ექსპორტიორებისთვის, GSP-ის ზოგადი რეჟიმით საბაჟო

გადასახადი იყო 2,1%, ახალი რეჟიმით კი - 0%, ანალოგიური მდგომარეობაა ამონიუმის სულფატის შემთხვევაში GSP-ის ზოგადი რეჟიმით გადასახადი იყო 3%, ახალი სქემით კი - 0%.

არსებული სავაჭრო რეჟიმი ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის სხვა პროდუქციის: ჯემების, ხილის წვენების, სანელებლების, თაფლის, მწვანე ჩაის, აგრეთვე აზოტოვანი სასუქების, საფეიქრო ნაწარმის, და ა.შ. ექსპორტისათვის.

ევროკომისიის ვებ-გვერდის საშუალებით www.export-help.cec.eu.in ექსპოტრიოტს შეუძლია დაადგინოს კონკრეტულ საქონელზე საბაჟო გადასახადის რაოდენობა, ექვემდებარება თუ არა ესა თუ ის საქონელი GSP+ სქემას, რა დოკუმენტაციაა საჭირო ევროკავშირში აღნიშნული საქონლის იმპორტისთვის და ა.შ.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა შედეგია 2004 წლის მაისში ევროკავშირის უპრეცენდენტო გაფართოებისა, რის შედეგადაც მას ბალტიის, ცენტრალური ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის 10 ახალი სახელმწიფოს შეუერთდა და საზღვრების გაფართოება და ახალი მეზობლების გაჩენა მოჰყვა.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა არის ევროკავშირის პოლიტიკური კურსი, რომელიც მიზნად ისახავს ევროპაში ახალი "გამყოფი ხაზების" გაჩენის სანაცვლოდ, ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების პროცესის განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სამეზობლო პოლიტიკა პირდაპირ არ უკავშირდება ევროკავშირის გაფართოების პროცესს, იგი წარმოადგენს ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებისა და ევროპის ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების ხელშემწყობ მნიშვნელოვან წამოწყებას.

სამეზობლო ინიციატივის შესახებ ევროკავშირის 2003 წლის მარტის კომუნიკაცია გავრცელებულ იქნა ე.წ. ევროპა-ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორობის (ბარსელონას პროცესის) ქვეყნებზე (თურქეთის გარდა), ასევე რუსეთზე, უკრაინაზე, ბელორუსიასა და მოლდოვაზე.

მიუხედავად საქართველოს აქტიური მოთხოვნისა, სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაზე სამეზობლო ინიციატივის გავრცელების შესახებ გადაწყვეტილება ევროპულმა საბჭომ ევროკომისიისა და ევროპარლამენტის რეკომენდაციებით მხოლოდ 2004 წლის ივნისში მიიღო. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოში მომხდარმა 2003 წლის ნოემბრის მოვლენებმა და ახალი მთავრობის აქტიურმა რეფორმისტულმა პოლიტიკამ.

ითვალისწინებს, რა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნების ევროკავშირთან ურთიერთობების სხვადასხვა დონეს, თავის ახალ სამეზობლო პოლიტიკას ევროკავშირი ხსენებულ ქვეყანათა მიმართ დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე განახორციელებს.

ევროკავშირთან თანამშრომლობის დონე და მისი განვითარების ტემპი დამოკიდებული იქნება კონკრეტული მეზობელი ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე, საერთო ღირებულებების დაცვაზე და ასევე მის შესაძლებლობაზე განახორციელოს საერთო პრიორიტეტების შესაბამისად დასახული პროექტები.

ევროკავშირის ახალი სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება, ევროკომისიის მიერ, მის მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით მომზადებული სტრატეგიული სამოქმედო გეგმების საფუძველზე წარიმართება. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი განხორციელებული იქნება არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობების (პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება) ფარგლებში მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურების მიერ.

სამეზობლო პოლიტიკა მასში მონაწილე ქვეყნებს პრივილეგირებული ურთიერთობების განვითარებას სთავაზობს, რომელიც ეფუძნება ისეთ ურთიერთაღიარებულ ღირებულებებს როგორებიცაა:

- კანონის უზენაესობა;
- ეფექტური მმართველობა;
- ადამინის უფლებების პატივისცემა, უმცირესობათა უფლებების ჩათვლით;
- კეთილმეზობლური ურთიერთობები;
- საბაზრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარება.

ამასთან ერთად, მონაწილე ქვეყნების ვალდებულებები ასევე შეეხება ევროკავშირის საზღვრებს გარეთ შემდეგი მნიშვნელოვანი მიმართულებებით წარმოებულ საქმიანობაში მონაწილეობას:

- ტერორიზმთან ბრძოლა;
- მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა;
- კონფლიქტების მოგვარების აქტიური მცდელობა.

ევროკავშირთან თანამშრომლობის დონე და მისი განვითარების ტემპი დამოკიდებული იქნება კონკრეტული მეზობელი ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე, საერთო ღირებულებების დაცვაზე და ასევე მის შესაძლებლობაზე განახორციელოს საერთო

პრიორიტეტების შესაბამისად დასახული პროექტები.

სამეზობლო ინიციატივაში მონაწილეობა საქართველოს მნიშვნელოვან ახალ შესაქლებლობებს აძლევს.

მოკლევადიან პერსპექტივაში:

- გაზრდილი ფინანსური დახმარება;
- სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობასა და დემოკრატიულ განვითარებაში ევროკავშირის უფრო აქტიური მხარდაჭერა;
- შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან საზღვრისპირა ურთიერთობების განვითარება;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსიტუტების გაძლიერება;
- კონფლიქტების მოგვარებაში ევროკავშირის უფრო აქტიური მონაწილეობა;
- ევროკავშირთან სავაჭრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება.

გრძელვადიან პერსპექტივაში:

- ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანების, კაპიტალის, მომსახურებისა და საქონლის თავისუფალი მოძრაობა;
- ევროკავშირის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სტრუქტურებში სრული ინტეგრაცია;
- ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერება.

სამეზობლო ინიციატივის მიზნების განხორციელებისათვის ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებთან ერთად განსაზღვრავს თანამშრომლობის გაღრმავების პრიორიტეტებს, რომლებიც ერთობლივად შეთანხმებულ სამოქმედო გეგმაში მოიყრიან თავს.

სამოქმედო გეგმა, რომელიც 3-5 წელზე იქნება გათვლილი, მოიცავს თანამშრომლობის შემდეგ საკვანძო მიმართულებებს:

- კანონიერების დაცვა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება;
- კონფლიქტების მოგვარება;
- პოლიტიკური დიალოგი;
- თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში;
- ეკონომიკური რეფორმები;
- ვაჭრობის განვითარება ევროკავშირის ბაზარზე;
- ენერგეტიკა, ტრანსპორტი, საინფორმაციო საზოგადოება, გარემოს დაცვა,;
- განათლება, მეცნიერება და კულტურა.

სამოქმედო გეგმა ეყრდნობა ყველა ქვეყნისათვის საერთო პრინციპებს, მაგრამ განსხვავებული იქნება თითოეულ მათგანთან თანამშრომლობის არსებული მდგომარეობის, ქვეყნის მოთხოვნებისა და საერთო ინტერესების შესაბამისად.

2005 წლის ნოემბერსა და 2006 წლის მარტში სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის კონსულტაციების ორი რაუნდი გაიმართა. შეხვედრების ორივე რაუნდი კონსტრუქციულ გარემოში წარიმართა. კონსულტაციებმა აჩვენა, რომ საკითხების აბსოლუტური უმრავლესობის მიმართ მხერეებს საერთო ხედვა გააჩნიათ. ქართული მხარის ის წინადადებები, რომლებზეც შეთანხმება ამ დროისთვის ვერ მოხერხდა განიხილება ევროკომისიასა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ.

კონსულტაციების ამ ეტაპზე სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შემდეგ 8 პრიორიტეტს:

1. კანონის უზენაესობა, სახელმწიფო ინსტიტუტების განმტკიცების გზით სამართლებრივი სისტემის,

მათ შორის პენიტენციალური სისტემის განვითარება. საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად დემოკრატიის განმტკიცება და ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა;

2. სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება;
3. ეკონომიკური განვითარების, სიღარიბის დაძლევისა და სოციალური ერთიანობის ხელშეწყობა, მდგრადი განვითარების მხარდაჭერა გარემოს დაცვისა და განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერის ჩათვლით, ეკონომიკური კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის შემდგომი დაახლოება;
4. სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების დარგში თანამშრომლობის გაღრმავება მიგრაციისა და საზღვრის მართვის საკითხების ჩათვლით;
5. რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება;
6. შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების ხელშეწყობა;
7. საგარეო და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობა;
8. ტრანსპორტი და ენერგეტიკა.

მოლაპარაკებების დასრულება 2006 წლის პირველ ნახევარშია ნავარაუდები.

მომავალში, მიღწეული შედეგების შესაბამისად შესაძლებელია ევროკავშირმა სამეზობლო პოლიტიკაში ჩართულ ქვეყნებს შესთავაზოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შეცვლა ე.წ. ევროპული სამეზობლო ან სხვა ინტეგრაციის უფრო მაღალი დონის შეთანხმებით.

სამოქმედო გეგმა ასევე იქნება ძირითადი საფუძველი ევროკავშირის მომავალი დახმარების პროგრამების შემუშავებისათვის. შენარჩუნდება და საწყის ეტაპზე გაფართოვდება კიდეც არსებული დახმარების ინსტრუმენტები და პროგრამები. 2007 წლიდან მათ დაემატებათ ე.წ. "ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტი," რომლის შექმნის შესახებაც გადაწყვეტილება ევროპულმა საბჭომ 2003 წლის ოქტომბრის ევროკომისიის შესაბამისი კომუნიკაციით მიიღო. ამჟამად, ევროკომისიის მიერ "სამეზობლო ინსტუმენტის" ფინანსური უზრუნველყოფასთან დაკავშირებული წინადადებები განსახილველად წარდგენილია ევროპარლამენტში.

მნიშვნელოვანი ფაქტები ევროკავშირის ისტორიიდან

1948
7-11 მაისი

ჰააგის კონგრესი: ოცი ევროპული ქვეყნიდან ათასზე მეტმა დელეგატმა განიხილა ევროპაში თანამშრომლობის ახალი ფორმები. მათ გადაწყვიტეს "ევორპული ასამბლეის" შექმნა.

1949
27-28 იანვარი

ჰააგის კონგრესის შედეგად, შეიქმნა ევროპის საბჭო, რომელმაც სტრასბურგში დაიდო ბინა.

ამავე წელს, ევროპის საბჭომ დაიწყო ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ჩამოყალიბება, რომელსაც ხელი მოეწერა რომში 1950 წელს და ძალაში შევიდა 1953 წლის სექტემბერში.

დროთა განმალობაში, თითქმის ყველა ევროპული ქვეყანა გახდა ევროპის საბჭოს წევრი.

1950
9 მაისი

რობერ შუმანი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჟან მონეს იდეებზე დაფუძნებით აკეთებს მნიშვნელოვან განცხადებას: იგი სთავაზობს საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას გააერთიანონ თავიანთი ქვანახშირის და ფოლადის რესურსები ერთ ორგანიზაციაში, სადაც სხვა ევრიპულ ქვეყნებსაც შეეძლებათ გაერთიანება.

მას შემდეგ, 9 მაისი ითვლება ევროკავშირის დაბადების დღედ და აღინიშნება ყოველ წელს, როგორც ევროპის დღე.

1951
18 აპრილი

პარიზში, 6 ქვეყანა, ბელგია, საფრანგეთი, გერმანია (ფედერაციური რესპუბლიკა), იტალია, ლუქსემბურგი, და ნიდერლანდები ხელს აწე-

რენ შეთანხმებას ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ჩამოყალიბების შესახებ. იგი ძალაში 1952 წლის 23 ივლისიდან შევიდა.

1955
1-2 ივნისი

6 ქვეყნის საგარეოს საქმეთა მინისტრების მესინაში შეხვედრის შედეგად გადაწყდა ევროპული ინტეგრაციის ეკონომიკაზე სფეროზე გავრცელება.

1957
25 მარტი

რომში, 6 ქვეყანა ხელს აწერს ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ევროპული ატომური ენერგიის გაერთიანების შექმნის შესახებ შეთანხმებას, რომელიც ძალაში შევიდა 1958 წლის 1 იანვარს.

1960
4 იანვარი

გაერთიანებული სამეფოს ინიციატატივით, სტოქჰოლმის კონვენციამ დაარსა ევროპული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, რომელიც მოიცავს მრავალ ევროპულ ქვეყანას, რომლებიც არ არიან ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის წევრები.

1962
30 ივლისი

წარმოდგენილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა.

1963
14 იანვარი

პრესკოფერენციაზე, გენერალმა დე გოლმა განაცხადა, რომ საფრანგეთი ვეტოს დაადებს გაერთიანებულ სამეფოს გაწევრიანებას, ევროპულ თანამეგობრობებში.

20 ივლისი

იაუნდეში, ევროპილ ეკონომიკურ თანამეგობრობასა და 18 აფრიკულ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას.

1965
8 აპრილი

ხელი მოეწერა შეთანხმე-

ბას, რომელიც აერთიანებს არსებული სამი გაერთიანებების აღმასრულებელ ორგანოებს და აყალიბებს მხოლოს ერთ საბჭოსა და კომისიას.
იგი ძალაში შევიდა 1967 წლის 1 ივლის.

1966
29 იანვარი

"ლუქსემბურგის კომპრომისი". პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, საფრანგეთი თანხმდება მიიღოს მონაწილეობა საბჭოს შეხვედრაში, იმ პირობით, რომ იმ საკითხთა გადაწყვეტისას, რომლებიც ეხება "უმნიშვნელოვანეს ეროვნული ინტერესებს" შენარჩუმებული იქნება ერთსულოვნების პრინციპი.

1968
1 ივლისი

დაგეგმილზე 18 თვით ადრე ინდუსტრიულ საქონელზე მთლიანად მოიხსნა საბაჟო გადასახადები, გარდა ამისა წარდგენილ იქნა ერთიანი საგარეო ტარიფი.

1969
1-2 დეკემბერი

ჰაგის სამიტზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ევროპული ინტეგრაციის გაღრმავების შესახებ.

1970
22 აპრილი

ლუქსემბურგში, ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელის მიხედვითაც ევროპულ გაერთიანებას მიეცა საკუთარი სახსრების უფრო მეტად გამოყენების საშუალება ასევე გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლებაც.

1972
22 იანვარი

ბრუსელში ხელი მოეწერა გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულებებს, დანიასთან, გაერთიანებულ სამეფოსთან, ირლანდიასთან და ნორვეგიასთან.

24 აპრილი

ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის ექვსმა წევრმა გადაწყვიტა, რომ

მათ ვალიუტებს შორის გაცვლითი კურსი არ უნდა მერყეობდეს 2.25% მეტად. ეს სისტემა ცნობილია როგორც "გველი".

1973
1 იანვარი

დანია, ირლანდია და გაერთიანებული სამეფო შეუერთდნენ ევროპულ თანამეგობრობებს, წევრთა რიცხვმა მიაღწია ცხრას. ნორვეგიაში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობამ გაწევრიანების წინააღმდეგ მისცა ხმა, ნორვეგია არ გაწევრიანდა.

1974
9-10 დეკემბერი

პარიზის სამიტზე, ცხრა წევრი ქვეყნის პოლიტიკურმა ლიდერებმა გადაწყვიტეს რეგულარულად წელიწადში სამჯერ შეხვედრა როგორც ევროპის საბჭო. გარდა ამისა მათ მიიღეს გადაწყვეტილება ევროპულ პარლამენტში პირდაპირი არჩევნების წესის შემოღების შესახებ და ევროპული რეგიონული განვითარების ფონდის დაარსების შესახებ.

1975
28 თებერვალი

ლომეში, ხელი ეწერება კონვენციას (ლომეს კონვენცია) ევროპულ ეკონომიკურ თანამეგობრობას და აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის 46 სახელმწიფოს შორის.

22 ივლისი

ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ზრდის პარლამენტის უფლებამოსილებას ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას და ითვალისწინებს აუდიტორთა საბჭოს შექმნას. შეთანხმება ძალაში 1977 წლის 1 იანვრიდან შევიდა.

1978
6-7 ივლისი

ბრემენის სამიტზე, საფრანგეთი და გერმანია (ფედერაციული რესპუბლიკა) გამოვიდნენ შემოთავაზებით განეახლებინათ თა-

ნამშრომლობა ფულად-საკრედიტო სფეროში ევროპის მონეტარული სისტემის ჩამოყალიბების გზით, რომელიც შეცვლიდა აქამდე არსებულ ე.წ. "გველის" სისტემას. ევროპის მონეტარტული სისტემა ამოქმედდა 1979 წლის 13 მარტს.

1979 წელი
28 მაისი

საბერძნეთთან ხელი მოეწერა გაწევრიანების შესახებ შეთანხმებას.

7-10 ივნისი

ჩატარდა პირველი პირდაპირი საპარლამენტო არჩევნები.

1981 წელი
1 იანვარი

საბერძნეთი გაწევრიანდა თანამეგობრობაში და წევრთა რიცხვმა 10-ს მიაღწია.

1984 წელი
28 თებერვალი

მიღებულ იქნა პროგრამა "esprit"- რომელიც ითვალისწინებდა კვლევების წარმოებას ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში.

4-17 ივლისი

მეორე პირადაპირი არჩევნები ევროპარლამენტში.

1985 წელი
7 ინვარი

ჟაკ დელორი ხდება ევროკომისიის პრეზიდენტი (1985-1995).

12 ივნისი

ესპანეთთან და პორტუგალიასთან ხელი მოეწერა გაწევრიანების შესახებ შეთანხმებას.

2-4 დეკემბერი

ლუქსემბურგში, ევროკავშირის საბჭოს სხდომაზე, 10 წევრი-ქვეყნის ლიდერები შეთანხმდნენ რომის ხელშეკრულების გადახედვაზე და "ერთიანი ევროპული აქტის" მიიღებაზე, რომელიც ითვალისწინებდა საერთო ბაზრის ფორმირებას 1993 წლისთვის.

1986 წელი
1 ივნარი

ესპანეთი და პორტუგალია გაწევრიანდნენ თანამეგობრობაში და წევრი-ქვეყნების რიცხი 12 გახდა.

17 და 28 თებერვალი

ლუქსემბურგსა და ჰააგაში ხელი მოეწერა ერთიან ევროპული აქტს.

1987 წელი
15 ივნისი

დაიწყო "ერაზმუსის" პროგრამა, რომელის მიზანია დაეხმაროს ევროპელ ახალგაზრდებს მიიღონ განათლება ევროპის სხვა ქვეყნებში.

1989
15 და 18 ივლისი

მესამე პირდაპირი არჩევნები ევროპარლამენტში.

9 ნოემბერი

ბერლინის კედელი დაინგრა.
9 დეკემბერი

სტრასბურგში, ევროკავშირის საბჭოს სხდომაზე გადაწყდა მოეწვიათ მთავრობათაშორისი კონფერენცია, სადაც განხილული იქნებოდა ევროპის ეკონომიკური, მონეტარული და პოლიტიკური კავშირის შექმნის საკითხი.

1990 წელი
19 ივლისი

ხელი მოეწერა შენგენის შეთანხმებას, რომელიც მიმართულია ევროპული თანამეგობრობების წევრი-ქვეყნების საზღვრებზე შემოწმების გაუქმებისკენ.

3 ოქტომბერი.

გერმანია გაერთიანდა.

14 დეკემბერი

რომში, გაიხსნა მთავრობათაშორისი კონფერენცია ეკონომიკური, მონეტარული და პოლიტიკური კავშირის შექმნასთან დაკავშირებით.

1991 წელი
9-10 დეკემბერი

მაასტრიხში ევროპის საბჭომ მოიწონა შეთანხმება ევროკავშირის შესახებ, რომლითაც საფუძვლად ჩა-

ეყარა ერთიან საგარეო და სავალუტო პოლიტიკას, უფრო ახლო ურთიერთობებს საშინაო საქმეებში და სამართლის სფეროში. შექმნას ეკონომიკური და მონეტარული კავშირი, რომელიც მოიცავს ერთიან ვალუტას. მთავრობათაშორისი ურთიერთობა ამ სფეროში დამატებული უკვე არსებულ თანამეგობრობის სისტემას ქმნის ევროკავშირს. ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ სახელი შეიცვალა და გახდა ევროკავშირი.

1992
7 თებერვალი

მაასტრიხში, ევროკავშირის შეთანხმებას მოეწერა ხელი. იგი ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს.

1993
1 იანვარი

ჩამოყალიბდა საერთო ბაზარი.

1994
9 და 12 ივნისი

მეოთხე პირდაპირი საპარლამენტო არჩევნები

24-25 ივნისი
კარფურში ევროპულმა საბჭომ ავსტრიასთან, ფინეთთან, ნორვეგიასთან და შვედეთთან. გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულება გააფორმა.

1995
1 იანვარი

ავსტრია, ფინეთი და შვედეთი გაწევრიანდნენ ევროკავშირში და წევრი ქვეყნების რიცხვი გახდა 15. ნორვეგიაში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობამ გაწევრიანების წინააღმდეგ მისცა ხმა, ნორვეგია არ გაწევრიანდა.

23 იანვარი

ევროკომისიის პრეზიდენტი ხდება ჟაკ სანტერი
(1995-1999)

27-28 იანვარი

ბარსელონაში ჩატარებული ევროკავშირ ხმელთაშუაზღვის ქვეყნების კონფერენცია საფუძვლად ჩაეყარა პარტიორობას ევროკავშირსა და სამხრეთ ხმელ-

თაშუაზღვისპირეთის ქვეყნებს შორის.

1997
16-17 ივნისი

ამსტერდამში ევროსაბჭომ გააფორმა შეთანხმება, რომელიც ევროკავშირს ახალ უფლებებსა და მოვალეობებს ანიჭებს.

2 ოქტომბერი

ხელი მოეწერა ამსერდამის ხელშეკულებას და იგი ძალაში შევიდა 1999 წლის 1 მაისს.

1998
30 მარტი

იწყება ახალი კანდიდატი ქვეყნების გაწევრიანების პროცესი. კვიპროსი, მალტა და 10 ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა ჩაერთო აღნიშნულ პროცესში.

3 მაისი

ბრუსელში ევროკავშირის საბჭო გადაწყვეტილებით 11 ევროკავშირის წევრ ქვეყანას (ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი) დაეკისრა შეასრულოს საერთო ვალუტის შემოღებისათვის საჭირო მოთხოვნები 1999 წლის 1 იანვრისთვის. საბერძნეთი აღნიშნულ გადაწყვეტილებას მოგვიანებით . შეუერთდებოდა.

31 დეკემბერი

დადგენილ იქნა სავალუტო კურსები, რომლის მიხედვითაც გადაცვლილი იქნებოდა ევროკავშირის ქვეყნების ფულადი ერთეულები ევროზე.

1999
1 იანვარი

იწყება მესამე ეტაპი ეკონომიკური და მონეტარული კავშირის. 11 ევროკავშირის ქვეყნის ფულადი ერთეული შეიცვალა ევროთი. ამ მომენტიდან ევროპის ცენტრალური ბანკი ხდება პასუხისმგებელი ევროკავშირის მონეტარულ პოლიტიკაზე.

24-25 მარტი

ბერლინში ევროკავშირის საბჭო შეთანხმდა ევროკავშირის ბიუჯეტის 2000-2006 წლის სქემის შესახებ "Agenda 2000"-ის მოთხოვნების გათვალისწინებით.

3-4 ივნისი

კიოლნში ევრკავშირის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სთხოვოს კონვენციას ჩამოაყალიბოს ფუნდამენტალური უფლებების ევროპული ქარტია. კონვენციის წევრები არიან მთავრობის მეთაურები და ევროკომისიის პრეზიდენტი.

ხავიერ სოლანა დაამტკიცეს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელის პოსტზე საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში.

8-13 ივნისი

მეხუთე პირდაპირი საპარლამენტო არჩევნები.

15 სექტემბერი

რომანო პროდი ხდება ევროკომისიის პრეზიდენტი (1999-2004)

15-16 ოქტომბერი

ტამპერეში ევროკავშირის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აქციოს ევროკავშირი თავისუფლების, უსაფრთხოების და სამართლიანობის ზონად.

10-11 დეკემბერი

ჰელსინკში ჩატარებული ევროკავშირის საჭოს სხდომა, ძირითადად მიეძღვნა ევროკავშირის გაფართოების თემას, თურქეთის ოფიციალურ აღიარებას ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნად და მოლაპარაკებების წინ წაწევას სხვა 12 კანდიდატ ქვეყანასთან.

2000
23-24 მარტი

ლისაბონში ჩატარებული ევროკავშირის საბჭოს სხდომაზე დასახეს სტრატეგიები ევროკავშირში დასაქმების ზრდის, ეკონომიკის მოდერნიზების და სოციალური ერთიანობის

განმტკიცების თაობაზე, ცოდნაზე დაფუძნებულ ევროპაში.

7-8 დეკემბერი

ნიცაში, ევროკავშირის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას შეთანხმების ტექსტის თაობაზე, რომელიც ცვლის ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების სისტემას შემდგომი გაფართოების მიზნით. ევროპარლამენტის პრეზიდენტმა, ევროსაბჭომ და ევროკომისიამ მიიღეს ევროკავშირის ფუნდამენტალური უფლებების ქარტია.

2001
26 თებერვალი

ხელი მოეწერა ნიცის შეთანხმებას რომელიც 2003 წლის 1 თებერვლიდან შევიდა ძალაში.

14-15 დეკემბერი

ლაეკენში ევროკავშირის საბჭომ მიიღო ევროკავშირის მომავლის შესახებ დეკლარაცია. რომელიც ხსნის გზას ევროკავშირის შემდგომი რეფორმისათვის და ევროკონსტიტუციის მიღებისათვის. ვალერი ჟისკარ დესტენი დამტკიცებული იქნა კონვენციის თავმჯომარედ.

2002
1 იანვარი

ევროსავალუტო წევრ ქვეყნებში ევრო ხდება ერთადერთი საგადამხდელო საშუალება

31 მაისი

ყველა 15 წევრი ქვეყანა ერთდროულად ახდენს კიოტოს პროტოკოლის რატიფიკაციას.

21-22 ივნისი

სევილიაში ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება იმიგრაციის პოლიტიკის შესახებ.

13 დეკემბერი

კოპენჰაგენში ევროკავშირის საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა შეთანხმება 10 ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის (კვიპროსი, ჩეხეთი, მალტა, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, სლოვაკეთი და

სლოვენია) გაწევრიანების თაობაზე 2004 წლის 1 მაისს. ბულგარეთი და რუმინეთი ელოდებიან გაწევრიანებას 2007 წლისათვის.

2003
16 აპრილი

ათენში ევროკავშირი ხელს აწერს გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულებებს კვიპროსთან, ჩეხეთთან, ესტონეთთან, უნგრეთთან, ლატვიასთან, ლიტვასთან, მალტასთან, პოლონეთთან, სლოვაკეთთან და სლოვენიასთან.

10 ივლისი

ევროპის კონვენცია ასრულებს თავის მუშაობას ევროკონსტიტუციის პროექტზე.

4 ოქტომბერი

იწყება მთავრობათაშორისი კონფერენცია, რომელიც დასახავს ახალ შეთანხმებებს ევროკონსტოტუციის რეალიზების მიზნით.

2004
1 მაისი

კვიპროსი, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი და სლოვენია გაწევრიანდნენ ევროკავშირში.

10-13 ივნისი

მეექვსე პირდაპირი საპარლამენტო არჩევნები

3 ოქტომბერი

გაიხსნა მოლაპარაკებები თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე.

29 ოქტომბერი

რომში ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლებმა, რუმინეთის, ბულგარეთისა და თურქეთის წარმომადგენლებთან ერთად ხელი მოაწერეს ევროკავშირის ერთიან კონსტიტუციას, რომელიც რატიფიკაციისთვის დაეგზავნა წევრ ქვეყნებს.

2005
29 მასი

საფრანგეთში გამართულ რეფერენდუმზე მოსახლეობის უმრავლესობამ უარი განაცხადა ევროკავშირის კონსტიტუციის რატიფიცირებაზე.

1 ივნისი

ნიდერლანდებში გამართულ რეფერენდუმზე მოსახლეობის უმრავლესობამ უარი განაცხადა ევროკავშირის კონსტიტუციის რატიფიცირებაზე.
3 ოქტომბერი

გაიხსნა მოლაპარაკებები ხორვატიის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე.

17 დეკემბერი

მაკედონიას მიენიჭა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი.

2006
8 მარტი

ევროკავშირმა მიიღო სამსჯელო დოკუმენტი ე.წ. "green paper" მდგრადი, კონკურენტუნარიანი და უსაფრთხო ენერგომომარაგების შესახებ.

2007
ევროპული საბჭოს მიერ 2002 წელს კოპენჰაგენში განსაზღვრული ბულგარეთისა და რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანების თარიღი.